# საერთო გაზეთი

№29 (579) • 23 სექტემბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



**გიორგი ვოლსკი:**

## „ქართული ოცნება“ არის ის პარტია, რომელიც ამ ქვეყანას სამშვიდობოზე გაიყვანს!

**რამაზ საყვარელიძე:**

## „ნაციონალური მოძრაობა“ განწირულია დასამარცხებლად





**რომან რურუა:**

საქართველო უნდა გახდეს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გამტანი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა



## ვინ დაამყარებს წესრიგს სააფთიაქო სფეროში?

## კორონა – გვირგვინი გლობალიზაციისა

## აშშ-ში არჩევნებისთვის ემზადებიან თუ სამოქალაქო ომისთვის?

## სიკვდილის დამფინანსებლები უოლ სტრიტიდან

## „დიუპლესის ობლები“



**ვაჟა ბერიძე:**

რატომ იქცა სოციოლოგიური კვლევები ამომრჩეველზე ფსიქოლოგიური ზეწოლის საშუალებად?




## ოპოზიციურო პარტიებო და ოპოზიციონერებო! გინდათ გაიგოთ რა გელოდებათ? თავი დაანებეთ მოლებთან და მკითხავებთან სირბილს – იკითხეთ „საერთო გაზეთი“!






# ოპოზიციურო პარტიებო და ოპოზიციონერებო! გინდათ გაიგოთ რა გელოდებათ? იკითხეთ „საერთო გაზეთი“!



**ოპოზიციურო პარტიებო, სააკაშვილი რომ „პარტიუკებს“ გიწოდებთ, ოპოზიციონერო პოლიტიკოსებო, სააკაშვილი რომ „პოლიტიკანებს“ გეძახით, დაანებეთ თავი მარნეულსა და გარდაბანში მოლებთან სირბილს, დაანებეთ თავი ლელა კაკულიასთან და მიშა ცაგარელთან ძვირადღირებულ ვიზიტებს, იცოდეთ: ყოველ ოთხშაბათს იყიდეთ „საერთო გაზეთი“ და სულ რაღაც ერთ ლარად ზუსტად გაიგებთ, რა გელოდებათ.**

**არ გჯერათ?**

**წაიკითხეთ ეს წერილი, წერილი-წინასწარმეტყველება, რომელიც ერთი თვის წინათ, 26 აგვისტოს, გამოქვეყნდა „საერთო გაზეთში“. ამ წერილში დეტალურად არის მოთხრობილი, როგორ გამოგიყენებდათ და როგორ გაგყიდიდათ სააკაშვილი, როგორც კი მისთვის საჭირო მომენტი დადგებოდა.**

**ამ წერილში კიდევ ბევრი რამ არის თქვენთვის უაღრესად საყურადღებო და საგულისხმო, რაც მომავალში აუცილებლად გამოგადგებათ.**

**ვახტანგ ხარჩილავა:**

ფრაგმენტი წერილიდან - „**კოალიციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არ გაგონილს**“, 26 აგვისტო, 2020 წ. (N25).

— 31 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ უნდა დავამარცხოთ და კოალიციური მთავრობა უნდა შევქმნათ! — აი, ეს „წმინდათაწმინდა“ მიზანი აქვთ დასახული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს.

ბიძინა ივანიშვილის დამარცხება, შემდეგ კი კოალიციური მთავრობა — აი, ეს არის ზუსტად, დროის მოკლე მონაკვეთში, საქართველოს გარდაუვალი დამარცხების წინაპირობა.

ძალაუფლების ხელში ჩაგდების ავადმყოფური სურვილის, სიხარბის, ამპარტავნული ბუნების, ზედმეტი პატივმოყვარეობის გამო ვერ გრძნობთ და ვერ ხვდებით, რომ ზუსტად ის დაგანგრევთ და გაგანადგურებთ, რაც დღეს ხსნად და გადარჩენად მიგაჩნიათ.

გამოგიტყდებით, თქვენი ბედი ნაკლებად მაღელვებს, თუმცა თქვენმა უგუნურებამ, არა მარტო თქვენ, არამედ თქვენთან ერთად ქართველ ხალხსაც შეიძლება უმძიმესი განსაცდელი დაატეხოს თავს.

რა კოალიციური მთავრობა, რისი კოალიციური მთავრობა? როგორ შეიძლება კოალიციურ მთავრობაზე საუბარი იყოს იმ ქვეყანაში, სადაც, ფაქტობრივად, არ არსებობს პოლიტიკური პარტიები თავისი მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიით, მსოფლმხედველობით, კონცეფციით.

კოალიციური მთავრობის მოსვლა ხელისუფლებაში, ფაქტობრივად, ეს არის „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება.

აი, ამასაა რეკლამას და აგიტაციას რომ უწევენ „ნაცების“ ტელევიზიები და პიარსამსახურები, აგრეთვე, ამ ნაცისტურ „კოალიციას“ ტკიპასავით მიტმასნილი სხვადასხვა წვრილ-წვრილი პარტიუკები, რომლებიც ნებაყოფლობით პირდაპირ ხახაში უვარდებიან ხარბ და დაუნდობელ მონსტრს, რომელიც პირველსავე ხელსაყრელ მომენტში ლიფსიტებივით გადაყლაპავს ამ პოლიტიკურ ღორჯოებს.

ესენი რომ კოალიციურ რეჟიმში, შეთანხმებულად და შეხმატკბილებულად, ერთად შეუდგებიან ბედნიერი ქვეყნის აღმშენებლობას, ეს ისეთივე ტყუილია, როგორც თავის დროზე კომუნიზმის მშენებლობის იდეა იყო.

კოალიციური მთავრობის იდეა ფარსია, სატყუარაა, ხოლო ამ იდეის ავტორებმა შესანიშნავად იციან, რით დამთავრდება ეს დემაგოგია.

„ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ ერთხელ ცდილობს საქართველოს და დემოკრატიული მსოფლიოს ჭკუაში მოტყუებას, როცა ირწმუნება, რომ თანახმაა ნებისმიერის გვერდით დაჯდეს და ნებისმიერთან ითანამშრომლოს, ვისაც ხალხი აირჩევს.

**შეიძლება, თავიდან, ამ ე.წ. კოალიციაში რამდენიმე სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელიც შეიყვანონ, მაგრამ დროის მცირე მონაკვეთში იმ კოალიციაში ნაციონალების გარდა არავინ დარჩება — ყველას გაფერთხავენ.**

●

ოპოზიციური პარტიები ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ ნუ დააბრალებენ, რომ ქართული პოლიტიკა ვერ გაიზარდა, ვერ განვითარდა, რომ ქართული ოპოზიციური სპექტრი ბერწ, უნაყოფო წარმონაქმნად იქცა, რომელსაც არ შეუძლია შვას ახალი იდეები, ახალი სახეები, ახალი პოლიტიკური ფიგურები.

თუ ვინმეს ბრალია ეს, პირველ ყოვლისა, ბრალია თავად ოპოზიციისა, რომელიც ვერ მიხვდა, რომ მისი მთავარი კონკურენტი, მისი განვითარების დამამუხრუჭებელი და შემზღუდველი „ქართული ოცნება“ კი არა, „ნაციონალური მოძრაობა“ იყო, რომელმაც მთელი ოპოზიციური სივრცე თვითონ დაიკავა და მათ არსებობის და მოქმედების არეალი წაართვა.

იმის ნაცვლად, რომ ოპოზიციას, შეძლებისდაგვარად, შეეზღუდა „ნაცმოძრაობა“ და საბოლოოდ საერთოდ გაეყვანა პოლიტიკური ასპარეზიდან, რომ საარსებო და სამოქმედო სივრცე დაებრუნებინა, ეს ოპოზიციური პარტიები, ფაქტობრივად, „ნაცმროძრაობის“ დანამატებად იქცნენ, რაც იმით დააგვირგვინეს, რომ ბოლოს ერთ პოლიტიკურ გაერთიანებად იქცნენ, რომლის ცენტრში „ნაცმოძრაობა“ იდგა და, ცხადია, ყველაფერი მის გარშემო ბრუნავდა და ტრიალებდა.

●

ოპოზიციის დაცემა და მონური ქედდადრეკა იქამდეც კი მივიდა, ისინი, ვინც სააკაშვილს ცოტა ხნის წინათ პოლიტიკურ პირუტყვად, ზნედაცემულ პარანოიკად და ქვეყნის დამანგრეველ და დამაქცეველ მავნებლად მიიჩნევდნენ, ფეხებთან გაუკოტრიალდნენ მას და მორჩილება გამოუცხადეს.

ნაწილი ოპოზიციისა კიევშიც კი ეახლა მიშა-ყაენს და ძმობა და ერთგულება შეჰფიცეს.

სრული კაპიტულაცია, სრული მორალური კრახი, ფსკერი, რომლის ქვემოთ ვერ დაეშვები...

ეს იყო კატასტროფული, საბედისწერო შეცდომა, გამოწვეული პოლიტიკური უწიგნურობით, სიხარბით, უკაცრავად გამოთქმაზე და, პოლიტიკური გონებაშეზღუდულობით და წინდაუხედაობით.

ოპოზიცია დღეს ამ შეცდომის გამოსწორებას ცდილობს, მაგრამ უკვე გვიანია — ხელიდან არის გაშვებული ძვირფასი რვა წელი, რომელმაც „ნაცმოძრაობას“ კიდევ ბევრი რამ შემატა და კიდევ უფრო გააძლიერა, დანარჩენ ოპოზიციას კი ბევრი რამ დააკლო და კიდევ უფრო დააძაბუნა და დააჩაჩანაკა.

ოპოზიცია თუთიყუშივით ბრმად და გაუცნობიერებლად იმეორებს „ნაცმოძრაობის“ მიერ შემოგდებულ მოწოდებას: ყველანი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ! ერთად დავამარცხოთ ბიძინა ივანიშვილი!

ოპოზიციონერებო, თუ მართლა გონებაშეზღუდულები არ ხართ, იმდენს როგორ ვერ ხვდებით, რომ ბიძინა ივანიშვილი კი არ არის თქვენი მტერი, თქვენი მთავარი მტერი მიხეილ სააკაშვილია, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში ნება-ნება გაუპატიურებდათ, მერე, რვა წლის განმავლობაში, ტუალეტის ქაღალდის ფუნქციას გასრულებინებდათ, ახლა კი საზარბაზნე ხორცად გიყენებთ და თქვენს გვამებზე გადავლით ისევ ხელისუფლებაში აპირებს მობრუნებას.

სანამ „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურ ასპარეზზე ბოგინობს, სანამ „ნაცმოძრაობას“ მთავარი ოპოზიციური პარტიის ნიშა უკავია, ქართულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს განვითარება და წინსვლა არ უწერია.

**მინაწერი: ოპოზიციურო პარტიებო და ოპოზიციონერო პოლიტიკოსებო, ერთ ძვირფას და ბრძნულ რჩევას კიდევ მოგცემთ: დაუყოვნებლივ შეიკრიბეთ შალვას „ფანჩატურში“ (თუ გნებავთ, სხვაგან...) და დაუყოვნებლივ გააფორმეთ მემორანდუმი, რომ არავითარ შემთხვევაში არ შექმნით კოალიციურ მთავრობას სააკაშვილთან და „ნაცმოძრაობასთან“.**

**ეს იქნება სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ დასასრული...**

**გააკეთეთ ეს, გათავისუფლდით თქვენც და გაათავისუფლეთ საქართველოც.**

**გააკეთეთ ეს და დაიბრუნეთ ის საარსებო სივრცე, რომელიც თქვენ გეკუთვნით და რომელიც სააკაშვილმა წაგართვათ.**









„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

## გიორგი ვოლსკი:

# „ქართული ოცნება“ არის ის პარტია, რომელიც ამ ქვეყანას სამშვიდობოზე გაიყვანს!

**გიორგი ვოლსკი** - მაჟორიტარობის კანდიდატი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში „ქართული ოცნებიდან“. როგორც „საერთო გაზეთთან“ საუბარში ამბობს, ამ რაიონში მძიმე მემკვიდრეობაა და რა თქმა უნდა, შეკითხვებიც ბევრია.

**- ბატონო გია, საუბარი დავიწყოთ პრობლემებით, თქვენ არაერთხელ თქვით, ძალიან ბევრი შეკითხვებიაო, რა არის აქედან უმთავრესი?**

- საკითხები ორ ნაწილად უნდა დავყოთ, ერთია საერთო, ანუ პოლიტიკური, მოსახლეობას აინტერესებს ჩვენი ქვეყნის ბედი, კონკრეტული თემები, რა იქნება საგარეო კუთხით, როგორ იქნება



და ასე შემდეგ. არის შეკითხვები განათლებასთან დაკავშირებით, პანდემიასთან დაკავშირებით. მეორე ნაწილი ეხება ყოველდღიურ ყოფას, სოციალურ პრობლემებს, რაც ძალიან აქტუალურია მოსახლეობისთვის. მაგალითად, დიდუბე-ჩუღურეთში წლების განმავლობაში წარმოიშვა ავარიული ბინების პრობლემა.

**- დიახ, ვიცით, ეს პრობლემა მართლაც წლების განმავლობაში არსებობს. თქვენ რას პირდებით, ამას რამე ეშველება?**

- ეს ისეთი პრობლემაა, რომელსაც დეპუტატი ვერ მოერევა. რა თქმა უნდა, მე ვიაქტიურებ, საკითხს დავაყენებ, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც დედაქალაქის ხელმძღვანელობაზეა. კონკრეტულად რას ითხოვენ ჩემგან და არა მხოლოდ ჩემგან, ნებისმიერი კანდიდატისგან? ითხოვენ ვადებს, თუ როდის, რა დროში გამაგრდება ბინები, რათა ჩამონგრევისა არ ეშინოდეთ. არიან ადამიანები, რომლებსაც სოციალურად დაუცველთა სტატუსი ეკუთვნით და არ აქვთ. ბოლო პერიოდში კი გაკეთდა ბევრი რამე, მაგრამ გასაკეთებელი კვლავაც ბევრია - ქუჩები, გზები, კანალიზაცია და ასე შემდეგ. აქ ერთი რამე უნდა გამოვყო, აშკარად იგრძნობა, რომ ხალხი ხედავს საქმეს, ბევრი გაკეთდა, რაც წლების განმავლობაში დიდი პრობლემა იყო, ვგულისხმობ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ამას ყველა ამჩნევს, მაგრამ პრობლემები იმდენია, ბუნებრივად ჩნდება კითხვები თუნდაც იმაზე, 2004 წლიდან მოყოლებული, რა თანხებია დახარჯული. წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში დახარჯულია 150 მილიონი ლარი და ფაქტობრივად არაფერია გაკეთებული. ამ რაიონში იპოთეკით დაზარალებული ადამიანების მთელი არმია დამხვდა, ესეც უნდა გავითვალისწინოთ. თუმცა ეს არ არის მხოლოდ დიდუბე-ჩუღურეთის პრობლემა, ადამიანები ყველგან იძულებულნი იყვნენ, რომ ჯანმრთელობის სანაცვლოდ ბინები და სხვა სახის ქონება ჩაედოთ ბანკებში მტაცებლური პირობებით. ახლა სხვა დროა, ჯანდაცვის კუთხით სიტუაცია შეიცვალა, მაგრამ იმ ძველ ვალებს მოშორება უნდა.

**- ამ მხრივ რამე პერსპექტივა არსებობს?**

- ერთი პერიოდი კერძო პირმა გადაწყვიტა და იცით, რომ 630 ათას ადამიანს ვალები დაუფარა, მაგრამ ამ პრობლემის ასე იოლად მოგვარების პერსპექტივას ვერ ვხედავ. თუმცა ამ თემაზე მუდმივად იქნება მსჯელობა. მე ამ ეტაპზე არ შემიძლია, რამე დაპირებები გავცე.

**- ჩვენ ერთ დროს ვერც იმას წარმოვიდგენდით, რომ ნახევარ მილიონზე მეტ ადამიანს ვინმე ვალებს დაუფარავდა, მაგრამ მოხდა სასწაული.**

- ვნახოთ, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი ძალიან ბევრს ნიშნავს. კიდევ ერთი საკითხია... ბოლო მონაცემებით საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანთა რიცხვი კი განახევრდა, ამან გარკვეული სტიმულიც გააჩინა, მაგრამ ასეთები ჯერ კიდევ მრავლად არიან. საერთო ჯამში მემკვიდრეობა არის ძალიან მძიმე.

**- ბატონო გია, თქვენი კონკურენტები არიან ოდიოზური ფიგურები... პრინციპში, მე თუ მკითხავთ, კონკურენტებიც არ არიან, მაგრამ ცოტა უცნაური ქცევით გამოირჩევიან. გირჩი ზურაბა მოგიწოდებთ, დებატები გამართოთ მასთან ქვეყნის გადარჩენის საკითხებზე, ხოლო ანა დოლიძე აპირებს, რომ დიდუბე-ჩუღურეთი, სადაც თამარ მეფემ ქორწილი გადაიხადა, არ დატოვოს თქვენს ხელში, ანუ ფანრიანი „ნოკიას“ თაობის ამარა. არა მგონია, თავად დოლიძე „აიფონი“ იყოს, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ, ასეთი წარმოდგენა აქვს. რას ფიქრობთ, გირჩ ზურაბასთან კამათს აპირებთ?**

- მე არ ვფიქრობ, რომ ჯაფარიძესთან რამე მაქვს სალაპარაკო. ახლა კი დაირქვა „გირჩი“, მაგრამ კარგად გვახსოვს, რა თანამდებობები ეკავა „ნაციონალურ მოძრაობაში“ - ერთი პერიოდი აღმასრულებელი მდივანიც იყო და ჩართული გახლდათ ყველა ბოროტებაში. ამათ უამრავი ბოროტება ჩაიდინეს კონკრეტული ადამიანების მიმართ, ქუჩაში ხალხი ჩახოცეს. ეს ყველაფერი შეფასებულია სტრასბურგის სასამართლოს მიერ და ამაზე უფრო ფართოდ იქნება საუბარი. სახელმწიფო სჩადიოდა დანაშაულს და ორგანიზებას უკეთებდა მკვლელობებს, წამებას. ამაში ჩართული იყო ზურაბ ჯაფარიძე. სხვათა შორის, ეს ადამიანი საკმაოდ კომფორტულად ცხოვრობს, მის შვილებს სიკეთეს ვუსურვებ, მაგრამ სხვისი შვილები ასე ატყუო და გაწირო, ეს დანაშაულია. თურმე თავისუფლება არის ის, რომ საკუთარ სხეულს რასაც გინდა, იმას უზამ. არ უნდა მოუწოდო ახალგაზრდებს, ორალური სექსით ფულის შოვნა საამაყოაო. არსებობს მორალური სტანდარტები, რამაც სახელმწიფო გადაარჩინა. ასე რომ, ჯერ სადისტური ხელისუფლების საქმეებში მონაწილეობა და ახლა ამორალური განცხადებებით მანიპულირება მე არ მიქმნის იმის განწყობას, რომ ამ თემებზე მას ველაპარაკო. მე ვარ თავისუფლების მომხრე, რომელიც მოაქვს



განათლებას, პატრიოტიზმს, წმინდა დამოკიდებულებას ოჯახის მიმართ, ქვეყნის მიმართ, რომელიც არ გულისხმობს, რომ მტრის წინაშე შარვალი უნდა ჩაიხადო და უკანალი აჩვენო. ჯაფარიძეს სხვა შეხედულებები აქვს, მე -სხვა, ამის თაობაზე ამომრჩეველმაც ძალიან კარგად იცის. ის, რომ ნარკოპოლიტიკა მომხმარებლის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ლოიალური უნდა იყოს, გადაიხედოს განაჩენები, შეიძლება კანონი უფრო მკაცრია, მაგრამ ამას ჯანსაღად ვუყურებ, რათა საზოგადოების უდიდესი ნაწილის აზრსაც ვითვალისწინებ, რომელსაც ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია მიაჩნია საფრთხედ. აქ უნდა გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და არა პოპულისტური განცხადებების კეთება. თვითონ ზურაბ ჯაფარიძე არ ცხოვრობს იმ სტილით, რასაც სხვებისთვის ქადაგებს, მისი „კრეატიული“ გამოსვლები არის პოპულისტური და წმინდა წყლის დემაგოგია. მე ჯაფარიძის მიმართ არ მაქვს ბოროტული განწყობა, ჩვენსა და მაგის ყოფილ პარტიას შორის სწორედ ეგ არის, მტრის შვილსაც კი დავეხმარები, თუკი ეს საჭირო იქნება. თუმცა მისი მოკავშირეები მზად არიან, ჩემ შვილს მიაყენონ სერიოზული ზიანი, რათა ჩემზე ზეგავლენა მოახდინონ. იგივე ჯაფარიძეს ბოდიში არასოდეს მოუხდია, პირიქით, ის სულ აცხადებს, რომ „ნაცმოძრაობის“ „მოღვაწეობაში“ საბოდიშო არაფერია. რაც შეეხება ანა დოლიძეს, მე ვფიქრობ, საინტერესო მოსაზრებები აქვს, მაგრამ თავისი გაგებით იდეალისტია და რევოლუციისკენ იხრება, ვიდრე





ევოლუციისკენ, რაც ჩვენს სახელმწიფოს სჭირდება თუნდაც სამართლის სფეროში. ჩვენი სასამართლო დღეს მსოფლიო ოცეულშია შესული და ფინდამენტურად განსხვავდება იმისგან, რაც გვქონდა. ვაფასებ, ანა დოლიძე იმ დროსაც მეომარი იყო, მაგრამ სახელმწიფოსთვის საჭიროებები სწორად არ ესმის. როდესაც რეალობას ანგარიშს არ უწევ, გამოდის, პირადი ინტერესები გამოძრავებს. როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, პრეზიდენტი ჯერ ისევ იყო მიხეილ სააკაშვილი და ერთ ჯგუფად გაერთიანებული მოსამართლეები რა გადაწყვეტილებებს მიიღებდნენ, არც კი ვიცოდით, განაგრძობდნენ თუ არა სააკაშვილის პოლიტიკური ნებისადმი დამორჩილებას. როგორც კი ამ სასამართლომ გაასამართლა „ნაციონალური მოძრაობა“, იმ წუთში დაიწყო შეტევა. მე მესმის, რომ იმ პერიოდიდან მოსული პიროვნებები გარკვეულ ანტიპატიას იწვევდნენ, მაგრამ მთავარია, ინსტიტუტი მუშაობს და ეს იყო ოპტიმალური გადაწყვეტილება, რაც სახელმწიფოს სჭირდებოდა. მე მგონი, თქვენ კარგად გესმით, რასაც ვამბობ.

**- დიახ, მესმის, მაშინ სხვა გამოსავალი არ იყო.**

- ჰოდა, აქედან გამომდინარე, როცა იცი, რომ ყველგან სააკაშვილი იყო - სასამართლოში, პოლიციაში, პროკურატურაში და ვიდექით კრიტიკულ ზღვარზე, აქ უკვე სახელმწიფოებრივი მიდგომა იყო საჭირო. ამის გაგება ანა დოლიძეს არ უნდა, პირიქით, ეს ყველაფერი ნერვებს უშლის და ჩასაფრებული პოზიციიდან საუბრობს. მე არ მგონია, ანა დოლიძე გამოადგეს ქართულ პოლიტიკას, მით უმეტეს, იმ რეალობაში, რაც დღეს დიდუბე-ჩუღურეთშია. რაც შეეხება ფანრიან „ნოკიას“, ამას წინათ პერფორმანსი მოაწყვეს, პირბადეები მოიხსნეს და ყველამ აანთო ფანრიანი „ნოკია“, ამით სოლიდარობა გამოუცხადეს ჩვენს თაობას, ანუ სახელმწიფოსთვის საჭირო ადამიანებს. ახლა თავის ქება არ მინდა, კიდევ ბევრის თქმა შემიძლია.

**- მე პირადად მომეწონა „ქართული ოცნების“ პირველი ოცეული, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ სიაში თქვენც გიხილავდით. რა ხდება, მაჟორიტარობის კანდიდატები სიაში არ იქნებიან?**

- არა, ჩემი აზრით, მაჟორიტარობის კანდიდატები სიაში არ უნდა იყვნენ.

**- გისურვებთ წარმატებას და გამარჯვებას.**

- მადლობა, ყველაფერი კარგად იქნება.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

®

# „ნაციონალური მოძრაობა“ განწირულია დასამარცხებლად

*გვესაუბრება ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, „აი-რაის“ კვლევების თანახმად საკონსტიტუციო უმრავლესობას ვერავინ მიიღებს და კოალიციური მთავრობის შექმნა გარდაუვალია. რეალურად, რა ხდება?**

— ნუ, ახლა, „აი-რაი“-ს როგორ ასწავლი რეალობას. თუმცა, მათივე კვლევებიდანაც აშკარაა, რომ „ქართულ ოცნებას“ უფრო მეტი ხმა აქვს, ვიდრე სხვა პარტიებს. მაშინ, გაუგებარია საიდან ასკვნიან, თითქოს, „ქართულ ოცნებას“ ხალხი არ ენდობა?! ასე, თავიანთი კვლევების მიხედვით მსჯელობენ, ხომ. ეს წინააღმდეგობა მათ არ აწუხებთ. ვიმეორებ, მათი კვლევებითაც კი „ქართულ ოცნებას“



33% აქვს, ხოლო სხვა კვლევებით ბევრად მეტიც — 55%. რაც შეეხება კოალიციურ მთავრობას, როგორ შეიძლება იგი არსებობდეს თუ უმრავლესობას „ქართული ოცნება“ აიღებს. კოალიციას ხომ ის პარტია ქმნის, რომელიც უფრო მეტ მანდატს ფლობს. შესაბამისად, კოალიციის შექმნის ინიციატივის უფლება „ქართულ ოცნებას“ ექნება. ამიტომაა, რომ ოპოზიცია ერთმანეთს დედას აფიცებს მმართველ პარტიასთან არ ვითანამშრომლებთო ანუ, ამით სამთავრობო კრიზისის შექმნა უნდათ, რათა „ქართულმა ოცნებამ“ კოალიციის შექმნა ვერ შეძლოს. სწორედ ეს არის მათი ძირითადი მიზანი იმ წინასწარი ფიცი-მტკიცისა, რომ მმართველ პარტიასთან არ ითანამშრომლებენ. მმართველი პარტია უპრობლემოდ იპოვის პარტიებს, ვისთანაც შეამხანაგდება და კოალიციას შექმნის. მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსი“. „ქართულმა ოცნებამ“ ხმების საკმარისი ოდენობა რომც ვერ აიღოს, მას კოალიციის შექმნის პრობლემა არ ექნება. ასე, რომ გაუგებარია რას ეყრდნობა „აი-რაი“, როცა ამბობს: გარდაუვალია კოალიციის შექმნა ხელისუფლებისთვის წამგებიანი პირობებითო.

**— მოდით, შესაძლო ვარიანტები განვიხილოთ. ვთქვათ, „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაცებმა“ 40–40% აიღეს. რა ხდება ამ შემთხვევაში, ვინ ადგენს კოალიციურ მთავრობას, ეს ვისი პრეროგატივა იქნება?**

— 40+1 ვისთანაც იქნება, ის შექმნის კოალიციურ მთავრობას. თუ თანაბრად გაიყოფა პროცენტები, მაშინ კოალიციური მთავრობა საერთოდ არ შედგება, საზეზე იქნება სამთავრობო კრიზისი და არჩევნები ხელახლა დაინიშნება.

**— ვთქვათ, „ქართულმა ოცნებამ“ 45% აიღო. მოხდა ისე, რომ ოპოზიციური პარტიები გაერთიანდნენ, მათ ხომ შეეძლებათ მთავრობა თავად დააკომპლექტონ?**

— არჩევნების შემდეგ თუ გაერთიანდებიან მანდატების იმ რაოდენობას მიიღებენ, რაც არჩევნების გზით მიეკუთვნათ. ისინი არ იქნებიან ერთი სუბიექტი. შესაბამისად, თითო პროცენტიანი პარტიების ერთობა „ქართული ოცნების“ პროცენტებს ვერ გადაწონის.

**— მაგრამ თუ ეს ერთპროცენტიანი პარტიები გაერთიანდნენ და 55% შეადგინეს?**

— ისინი გაერთიანდებიან თუ არა, ეს ისევ, „ქართულ ოცნებაზეა“ დამოკიდებული. როგორ შეიძლება კოალიცია პატარა პარტიებმა შექმნან, მაშინ ხმების რაოდენობას რა აზრი აქვს? საპარლამენტო რესპუბლიკაში ვართ ხომ? — ვისაც მეტი ხმები აქვს გამარჯვებული ის არის. მაშინ რა აზრი აქვს ბევრი ხმების მოპოვებას, თუ თითო ხმიანი პარტიები შეიძლება გამარჯვებულნი აღმოჩდნენ. ისინი რომც გაერთიანდნენ 55% ვერ შეადგენენ იმიტომ, რომ კოალიციის შექმნის ინიციატივა იმ პარტიას ეკუთვნის, რომელიც მეტ ხმებს მიიღებს. არცერთი ტიპის მმართველობაში არ წერია, რომ ცოტა ხმების მქონე პარტიებმა ქვეყანა მართონ. ასე, ამომრჩეველი გამოდის იდიოტი, უფრო სწორად დაბრიყვებული.

**— თუ ვთქვათ, „ქართულ ოცნებას ხმები არ ეყოფა და კოალიციის შექმნა მოუწევს, ვისთან გესახებათ მისი გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ გარდა?**

— ჯერ ერთი, „პარტრიოტთა ალიანსის“ 3%-იც შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს იმავე მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, რასაც „აი-რაი“ აქვეყნებს. მათი კვლევებით „ქართულ ოცნებას“ 38% აქვს ხომ?

**— 33%.**

— ცოტა მეტი ვერ დაუკლეს კიდევ?! სხვა პარტიებს რამდენი აქვთ?

**— 15% აქვს „ნაციონალებს“, დანარჩენ პარტიებს ერთნიშნა რიცხვი.**



— მერე და მერე რომ იკლებს პარტიების პროცენტები, მათ შორის, არის „ლელოც“. ვიცით, მკაფიოდ, იგი სად იქნება?! პატარა პროცენტები ყოველთვის მოიძებნება. მცირე ციფრები საკმარისია. აქვე, არსებობს კვლევების სხვა მონაცემებიც. მარტო „აი-რაიზე“ რატომ ვსაუბრობთ. ეს გახლავთ დისკრედიტირებული სოციოლოგიური სამსახური. უარესი დისკრედიტაცია ძნელია წარმოიდგინო. რატომ ვლაპარაკობთ „აი-რაიზე“? ყველა ამ ორგანიზაციას აპიარებს. სწორედ ამის გამოა, რომ მომავალ არჩევნებზე კიდევ ჩაატარებს გამოკვლევებს და კიდევ რაღაც იდიოტობებს გამოაქვეყნებს. მედია ხელს უწყობს ამ ანტიპროფესიონალიზმის, უნამუსობის ქართულ სინამდვილეში ტივტივს. რატომ აკეთებს ამას ქართული მედია არ მესმის. თუ სხვა კვლევები არ ტარდება გასაგებია, მაგრამ პარალელურად, ხომ ოთხი ორგანიზაციის კვლევაა კიდევ დადებული, მათზეც ვისაუბროთ.

**— კი ბატონო, სხვა კვლევებზეც ვისაუბროთ: გამოკვლევები ჩაატარა „გორბმა“, „რუსთავი-2“-მა.**

— გამოკვლევების უმრავლესობა აჩვენებს, რომ „ქართული ოცნება“ ბარიერს ლახავს და მთავრობას ქმნის. განსხვავებულ შედეგებს მხოლოდ ის სოციოლოგიური სამსახურები იძლევიან, რომლებიც დიდი ხანია შემჩნეულნი არიან იმაში, რომ „ნაცმოძრაობის“ ტიპის ოპოზიციას უჭერენ მხარს და ცდილობენ შედეგები მათი ინტერესების გათვალისწინებით დადონ. მაგრამ „აი-რაის“ კვლევითაც კი „ქართულ ოცნებას“ ყველაზე დიდი პროცენტი აქვს, ოღონდ, ცდილობენ პრობლემად წარმოაჩინონ ის, რომ საჭიროა კოალიცია. ეს უნამუსო, პოლიტიკურად მოტივირებული გამოკვლევებია. „აი-რაი“ და „ენ-დი-აი“ ყველა არჩევნებში პოლიტიკურად მოტივირებულ შედეგებს იძლევიან. „ქართულ ოცნებას“ უფლება აქვს კოალიცია შექმნას, მცირე პარტიებს კი ამის უფლება არ აქვთ. ყველა ქვეყანაში უმრავლესობის მომპოვებელი პარტია ქმნის კოალიციას. აგერ, ისრაელში, ახლახან, დიდი ვნებათაღელვა იყო — ნეთანიაჰუს კონკურენტმა მცირე განსხვავებით მოიპოვა უმრავლესობა და მას კოალიციის შედგენა დაავალეს. მან ვერ შეძლო და მერე, ეს საქმე, ნეთანიაჰუს დაავალეს. ის, რომ კოალიციის შექმნა დაავალონ პარტიებს, რომლებიც მიკროსკოპით უნდა მოძებნო, ასეთი რამ არსად ხდება. ასეთ რამეს ამბობენ მარტო ჩვენთან უმცირესობაში მყოფი, იგივე, სამიკროსკოპო პარტიები.



**— კოალიციურ მთავრობას გარე ძალებიც გვთავაზობენ, თითქოს, სადღაც უკვე გადაწყვეტილია, რომ ამ არჩევნების შედეგი კოალიციური მთავრობა უნდა იყოს. როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ მოიპოვებს საკონსტიტუციო უმრავლესობას?**

— დიახ, „ქართულ ოცნებას“ შეუძლია საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება მოვლენების მსვლელობის მიხედვით. უმცირესობას ბოლო ნახევარი წელი ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ ივარაუდო პარტია ამომრჩეველს მოიპოვებსო. „ქართულმა ოცნებამ“ გადადგა იმ ტიპის ნაბიჯი, რათა გაეძლიერებინა ამომრჩევლის სიმპათია კოვიდთან ბრძოლის დროს. როცა ოპოზიცია ლოგიკის გარეშე გვთავაზობს: ჩვენ გავიმარჯვებთო და ამას განვიხილავთ გამოდის, ისინი იმაზე მუშაობენ, რომ ჩვენ იდიოტები ვართ.

„ნაცმოძრაობას“ ისეთი ავტორიტეტი აქვს, მათი ხსენება არავის უნდა და დანარჩენ პარტიებს ავტორიტეტი საერთოდ არ აქვთ. ამ მდგომარეობაზეა გათვლილი. რის ხარჯზე უნდა გაიმარჯვოს ოპოზიციამ, გამაგებინეთ?!

კოალიციური მთავრობა „ნაცების“ პროპაგანდაა. უგულავა ამბობდა: კოალიციური მთავრობა უნდა შევქმნათო. ეს, ემსახურება „ნაცებს“. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ თქვენ „ნაცების“ მომხრე ხართ, არამედ ეს თემა ტექნიკურად არის შემოგდებული. ის რომ მედიის პრობლემა დგას, ფაქტია. ბოლო ხანებში მიდის ამაზე მსჯელობა — „ქართულ ოცნებას“ ეყოფა თუ არა ხმები კოალიციის შესაქმენლად, ეს ნაცების წისქვილზე წყლის დასხმაა. ამას „აი-რაის“ მეშვეობით აკეთებენ.

**— მოდით, მაშინ იმაზე ვისაუბროთ, რაც თქვენ მიგაჩნიათ, რომ „ნაციონალების“ წისქვილზე არ ასხამს წყალს?**

— „ნაციონალების“ წისქვილზე არ ასხამენ წყალს თავად „ნაციონალები“. პარტიის ლიდერი ქარიზმატულია, 12-დან 16%-მდე ადამიანს უყვარს. ქარიზმატულ ლიდერს ამდენი სისულელე აკეთებინო, ყოვლად წარმოუდგენელია. თუნდაც, ის, რომ ეს უკრაინაში მყოფი ლიდერი პრემიერ მინისტრად დაასახელო, ამას მოხერხება უნდა. ის, რომ ჯერ ერთიანობა იძახო და მერე, ოპოზიცია ერთმანეთს დაუპირისპირო, ამასაც მოხერხება უნდა. ძალიან ბევრ შეცდომებს უშვებენ. ის, რომ ხალხს უჭირდა და მათ თითი არ გაუნძრევიათ მაშინ, როცა ძალიან მომგებიანი იქნებოდა, თუნდაც, ნახევარი ხელფასი დაედოთ, ესეც არ გააკეთეს. ანუ გამოტოვებული ნაბიჯები, შეცდომები უამრავი აქვთ. „ქართულმა ოცნებამ“ ავად თუ კარგად სტაბილურობა შეინარჩუნა, ამ ხნის მანძილზე ომი არ ყოფილა, კოვიდს აჯობა, არავის არ გამოეკიდა ცოცხით.

„სტრატეგია აღმაშენებელს“ ეკონომიკაზე აქვს აქცენტი გაკეთებული, ამ დროს, გვერდით ჰყავს ჩარკვიანი, რომელიც ეკონომიკაში ჩახედული არ არის. არის კიდევ ასეთი ვერსია: „ნაცმოძრაობამ“ ხომ ახლა 4–5 ალიანსი გააკეთა. ეს იმიტომ, რომ მას არ ჰყავს ხალხი და სიაში ვერავის წერს. ამიტომ, სჭირდება „რესპუბლიკელები“, რომელთაც სიაში ჩასვამს და ა.შ. დეფიციტი აქვს სიის. იქ, სადაც დეფიციტი არ აქვთ — მაჟორიტარებში, ვნახეთ, რომ არავისთვის დათმობას არ აპირებენ. აქ, რადგან სხვა პარტიებს უთმობს ადგილს, ე.ი. სიის შედგენა არ შეუძლია, არ ჰყავს ხალხი. ამაზე ლაპარაკობენ.

**— „გაერთიანებულ ოპოზიციაზე“ რას იტყვით, რომელმაც არჩევნებამდე სამი თვით ადრე ეს სტატუსი დაკარგა?**

— ის, რომ სხვა პარტიები შეიერთა თუ არ ვცდები ამაზე კანონი მოსთხოვს იმ ოდენობის პროცენტები გადალახოს, რამდენი პარტიაც ჰყავს. რა თქმა უნდა, გადალახავს ამ პროცენტს, მაგრამ შემდეგ, პარლამენტში მხოლოდ „ნაციონალებს“ კი არ შეიყვანს, არამედ იმ პარტიებს, რომლებიც როდის რას იზამენ, კაცმა არ იცის. ასე, რომ „ნაცმოძრაობა“ განწირულია დასამარცხებლად.

**— „ნაცები“ საუბრობენ, რომ ხელისუფლება გაყალბებისთვის ემზადება. თავად „ნაცმოძრაობა“ რისთვის ემზადება 1 ნოემბერს?**

— ეს სცენარი, თითქმის, ბოლომდე ჩანს. „ნაცებში“ ამ განწყობების მომწიფებას ხელს უწყობს ბელორუსის მოვლენები. მერე, იტყვიან: როგორც ბელორუსიაში, საქართველოშიც ისე მიდის პროცესებიო. აქ, იმ სცენარის გამეორებას ხალხის იმის მეათედი მაინც სჭირდება, რაც ბელორუსის ქუჩებში დგას. „ნაცებს“ და მის ნასხლეტებს ამდენი ხალხის მხარდაჭერის მოპოვება არ შეუძლიათ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# რატომ იქცა სოციოლოგიური კვლევები ამომრჩეველზე ფსიქოლოგიური ზეწოლის და მანიპულაციების საშუალებად?

*გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:*

**— ბატონო ვაჟა, საქართველოში სოციოლოგიურ კვლევებს მოსახლეობის დიდი ნაწილი უნდობლობას უცხადებს. ალბათ, იმიტომ, რომ მისი არასწორი გამოყენება ხდება. წესით, რა უნდა იყოს ამ კვლევების მიზანი — საზოგადოებაზე მანიპულირება თუ რეალობის დადგენის სურვილი?**

— სოციოლოგია შედარებით ახალი მეცნიერებაა, მაგრამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ძალიან წინ წავიდა როგორც კვლევების ტექნიკით, ისე მეცნიერული თვალსაზრისით. ფაქტობრივად, საზოგადოებრივი აზრის მონიტორინგი შესაძლოა წარმოებული იქნას, თითქმის, ცდომილების გარეშე. სოციოლოგია, საზოგადოებრივი აზრის კვლევის თვალთახედვით, ზუსტი მეცნიერებაა. იგი, უაღრესად მნიშვნელოვანი სფეროა, უპირატესად, დასავლური ტიპის ქვეყნებში, სადაც საზოგადოებრივი აზრის მონიტორინგი, აბსოლუტური, სიზუსტით ხორციელდება. თუმცა, სულ სხვა ვითარებაა საქართველოში. დამოუკიდებლობის პერიოდში აქ, ჩამოყალიბდნენ მთელი რიგი კომპანიები, რომლებიც საკმაოდ წარმატებულად საქმიანობდნენ, თუმცა ჩვენი დემოკრატიის განუვითარებლობის გამო ბევრმა მათგანმა ხელისუფლებებთან თანამშრომლობით სახელი გაიტეხა. შედეგად, კვლევის შედეგებისა და მათი სანდოობისადმი მნიშვნელოვნად ნეგატიური და უარყოფითი განწყობა ჩამოყალიბდა. ამის გამო, ბოლო პერიოდში, მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ქვეყანაში, ფაქტობრივად, საზოგადოებრივი აზრის კვლევას ქართული კომპანიები არ აწარმოებენ. ძირითადად ესენი არიან უცხოური კომპანიები — „ენ-დი-აი“ და „აი-რაი“, რომელთა დაკვეთითაც ველზე ქართული კომპანიები ან სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი სოციოლოგიური ჯგუფები საქმიანობენ. მაგალითად, „კავკასიის რესურს-ცენტრი“, რომელიც მთლიანად, მხოლოდ, „ენ-დი-აი“-ზე მუშაობს და „აი-პი-ენ ჯგუფი“, რომელიც „აი-რაი“-ზე მომუშავეა. ამ გზით ხდება ველზე მუშაობა. მისი შედეგების ლეგიტიმაციას საკმაოდ სოლიდური და ცნობილი ორგანიზაციების აბრევიატურა ახდენს როგორიცაა „აი-რაი“„ და „ენ-დი-აი“. აქედან გამომდინარე, ხდება მათი გასაჯაროება. წლების მანძილზე, განსაკუთრებით ბოლო 10–15 წელი, მათ მიმართ ნდობა, ფაქტობრივად, დაიკარგა. ამა თუ იმ არჩევნების შედეგების და კვლევების შეპირისპირებითი ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ ძალიან ხშირად ეს შედეგები მცდარია და რეალობას არ ასახავს. წლების წინ ამ ცნობად ორგანიზაციებს შედეგების გამოქვეყნება, ფაქტობრივად, შეწყვეტილი ჰქონდათ. მათ, ბოლო დროს, ისევ ამ ორგანიზაციების მეშვეობით კვლავ დაიწყეს კვლევების წარმოება. ისინი ცდილობენ წარსულში დაშვებული შეცდომები გაითვალისწინონ და კვლევები უფრო ზუსტი, სწორი მეთოდიკების გამოყენებით აწარმოონ.

**— სოციოლოგიურ კვლევებთან ერთად საარჩევნოდ ტარდება ეგზიტპოლები. რა განაპირობებს მათ სანდოობას?**

— ცალკე სფეროა ეგზიტპოლები, რაც არჩევნების დროს ტარდება. აქაც, მოწვეულია-ხოლმე ავტორიტეტული კომპანიები. თუმცა, ზოგჯერ აღმოჩნდება, რომ ეს არის არა სათაო ოფისებიდან წამოსული ინიციატივა, ხელშეკრულება იდება არა მათთან, არამედ მაგალითად, ამა თუ იმ ორგანიზაციის უკრაინის წარმომადგენლობასთან. პრინციპში, თუ ბოლო წლების პრაქტიკას გავითვალისწინებთ, უკვე, გამოჩნდა ორგანიზაციები, რომლებიც რეპუტაციას უფრთხილდებიან. შედეგად, მეტწილად, არჩევნებისა და კვლევის შედეგები ერთმანეთთან ახლოსაა. ეს წინგადადგმული ნაბიჯია, ხოლო ის პრაქტიკა, რაც ჩვენ წინა ხელისუფლების დროს გვქონდა, მიუღებელია. ჩვენ ყველა პრობლემური საკითხის მიმართ ხალხის აზრი უნდა ვიცოდეთ, რათა შევძლოთ შესაბამისი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ეს უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამაც, ოპოზიციამაც, საზოგადოებამაც, რათა ერთიანი ძალისხმევით მოხდეს იმ გამოწვევების დაძლევა, რაც ქვეყნის წინაშე არსებობს. სამწუხაროდ, ამის მიღწევა, ამ ეტაპზე, არ ხერხდება. ჩვენთან, ქვეყნდება სხვადასხვა კვლევები, რომელთა შედეგები, ხშირად, ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, რაც ყოვლად გაუგებარი, არაადეკვატურია. მაგალითად, ჩემთვის მიუღებელი ფაქტია, როცა ხდება ძალიან დიდი რაოდენობით ადამიანების ტელეფონით გამოკითხვა და ასეთი სატელეფონო ინტერვიუების დიდი რაოდენობის ხარჯზე იმაზე აპელირება, რომ ეს გამოკითხვა რეალური და სინამდვილეა. ამ ბოლო პერიოდში ეს გააკეთა „პატრიოტთა ალიანსმა“. მან ძალიან ბევრი ადამიანი გამოკითხა ტელეფონით და გარკვეული შედეგები შემოგვთავაზა. არ მინდა ჩემთვის პატივსაცემ ადამიანებს ირმა ინაშვილს და დავით თარხან-მოურავს ეწყინოთ, მათ პიროვნულად პატივს ვცემ მიუხედავად იმისა, რომ მათი ამომრჩეველი არ ვარ და არც მათი პარტიის მხარდამჭერივარ, მაგრამ ეს ყოვლად მიუღებელია. ის რაც მათ შემოგვთავაზეს როგორც სოციოლოგიური კვლევა, რა თქმა უნდა, ასეთი რამის კვლევად მიჩნევა, დაუშვებელია. იმიტომ, რომ თუ ხდება გარკვეულ საკითხზე მოსახლეობის გამოკითხვა — პლებისციტი, მას თავის წესი აქვს. მით უმეტეს, თუ ხორციელდება უფრო მაღალი რანგის გამოკითხვა — რეფერენდუმი, ამასაც თავის წესი აქვს. ამის გაკეთებას პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ, გასაჯაროების მიზნით, და არა რეალური სიტუაციის გაგებით, არ მგონია სოციოლოგიასთან რაიმე საერთო ჰქონდეს. ერთადერთი გამოსავალია: ეგზიტპოლების ჩამტარებელი კომპანიების მიმართ მოხდეს კონსესუსი — პოლიტიკურ ველზე ყველა მთავარი აქტორი, არჩევნებთან მიმართებაში, დაეთანხმოს, რომ ამ ორგანიზაციის შედეგებს ენდობა. რაც შეეხება მიმდინარე კვლევებს, რომელთა შედეგებიც პერიოდულად ცხადდება, მე, საერთოდ, მომხრე ვიქნებოდი, რომ არჩევნებამდე, დარჩენილ დროში, სოციოლოგიური კვლევების ჩატარება და მათი შედეგების გამოქვეყნება, აიკრძალოს იმდენად რამდენადაც ეს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის გამოიყენება და პოლიტიკური სპექტრის მინიმუმ ნახევარს ამა თუ იმ გამოკითხვის შედეგების არ სჯერა.

**— ერთიდაიმავე პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგები, ხშირად, ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგალითად, „რუსთავი-2“-ის დაკვეთით წარმოებულ კვლევებში „ქართულ ოცნებას“ 55% აქვს, როცა სხვაგან ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია.**

— გეთანხმებით, არ შეიძლება ერთიდაიგივე პერიოდში ჩატარებული კვლევებით ერთი ორგანიზაცია დებდეს შედეგს, რომ „ქართულ ოცნებას“ აქვს 39%, ხოლო მეორე კვლევით 55%. თუ ეს კვლევები კეთილსინდისიერად და შესაბამისი მეთოდიკების გამოყენებით არის შესრულებული, ასეთი დიდი სხვაობა ამ ორ შედეგს შორის არ შეიძლება არსებობდეს. აქ, რომელიმე მხარე ან აკლებს შედეგს, ან უმატებს. იგივე შემიძლია ვთქვა „ნაცმოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ შედეგებთან დაკავშირებით. აღარაფერს ვამბობ ამ შედეგების კატეგორიულ მიუღებლობაზე ისეთი პარტიების მხრიდან როგორიც არის „პატრიოტთა ალიანსი“, „ლეიბორისტული პარტია“, „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობა“. ეს პარტიები ყოველთვის უარყოფენ ამ გამოკითხვების შედეგებს, რადგან აქვთ ღრმა რწმენა, რომ მათი მხარდამჭერები გაცილებით მეტია, ვიდრე კვლევითი ორგანიზაციები უფიქსირებენ. ვფიქრობ, ეს არის მიუღებელი რეალობა, რომლის შეცვლაც არის პრეზიდენტის, მთავრობის მოვალეობა. ასევე, წამყვანი ოპოზიციების სურვილი, რათა საზოგადოებას რეალური სურათი ჰქონდეს ამა თუ იმ პრობლემის მიმართ. ეს ყველაფერი ოდესმე უნდა დალაგდეს. ამ საკითხზე არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ რუსეთის, მოლდოვის, თურქეთის მაგალითებით. ჩვენ, გვაქვს პრეტენზია, რომ დასავლური ყაიდის დემოკრატიულ საზოგადოებას და ქვეყანას ვაშენებთ. დასავლურ პრინციპებს ასეთი რეალობა, რაც საქართველოში გვაქვს, არ შეესაბამება.



**— გამოკითხვებში, ვთქვათ, 1500 ადამიანი იღებს მონაწილეობას და ამას 4 მილიონიანი მოსახლეობის აზრად გვასაღებენ...**

— აქ, არსებითი არ არის გამოკითხულთა რაოდენობა. ბევრი გამოკითხული აპრიორი არ ნიშნავს გამოკითხვის შედეგების სანდოობას. მთავარია, რესპოდენტების შერჩევის პრინციპი, სისტემა, რომელიც გაცილებით ნაკლები ადამიანის გამოკითხვის შემთხვევაში, მაღლი ალბათობით, ზუსტი შედეგის დადებას ითვალისწინებს. აქ, მნიშვნელობა აქვს მეთოდიკას, ასევე, კითხვარების შემდგენლების და შედეგების შემჯამებლების კეთილსინდისიერებას.

**— ძველად, ქართველი მეფეები გლახაკის ტანსაცმელს გადაიცმევდნენ და ხალხში გადიოდნენ მათი აზრის გასაგებად. ისინი „აი-რაის“ არ უკვეთავდნენ საზოგადოებრივი აზრის გაგებას.**

— მერე, ვინ გვაიძულებს, რომ „აი-რაიზე“ ან „ენ-დი-აიზე“ ვიყოთ ჩამოკიდებული. როგორც ზემოთ აღვნიშნე: ჩვენი კვლევითი ორგანიზაცია უნდა გვქონდეს, რომლის მიმართ საზოგადოებას ნდობის მაღალი ხარისხი ექნება. „ენ–დი-აი“ და „აი-რაი“ ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანას წარმოადგენენ, რომლებიც ჩვენი სუვერენიტეტის, ტერიტორიის მთლიანობის აღდგენის ერთადერთი გარანტორები არიან. ისინი გვეხმარებიან არა მარტო არჩევნების შედეგების მიმართ გამოვიმუშაოთ განწყობა, არამედ ჩვენი განწყობა ავსახოთ პრობლემების მიმართაც. აქ, მთავარია არა ის ვინ უკვეთავს კვლევას, არამედ ვინ მუშაობს ველზე, რამდენად კეთილსინდისიერად ხდება კვლევის შედეგების დაფიქსირება. ამაში კვლევით ორგანიზაციას ვერ დავადანაშაულებთ. აქ, დამკვიდრებული სტერეოტიპია, რომ მაინცდამაინც „ენ-დი-აიმ“ უნდა გამოიკითხოს საზოგადოების აზრი და მოგვაწოდოს ის, რაც ჩვენთვის უკეთესია. ამ დროს, ჩვენ, თვითონ უნდა ვიცოდეთ რა არის ჩვენთვის უკეთესი. მაგალითად, ავიღოთ პოლონეთი. პოლონეთში კვლევითმა ორგანიზაციამ გამოკითხვის შედეგები რომ გააყალბოს და ეს არ დაემთხვეს არჩევნების შედეგებს, ეს წარმოუდგენელი ამბავი იქნება. ასევე, ჩეხეთში, რომელიც პოსტ.სოციალისტური ქვეყანაა. ამიტომ, ჩვენ, გვინდა თუ არა, ყველამ, ერთად უნდა შევხედოთ რეალურ ვითარებას. თუნდაც, ეს იყოს ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის მიუღებელი იქნება ეს რუსეთთან დამოკიდებულება, ნატოსთან და ა.შ. თუ ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად არ იცვლება, რეალობა ყველამ ერთად უნდა გავიგოთ. დიახ, ყველამ ერთად უნდა გავაგრძელოთ სვლა ქვეყნის უკეთესი მომავლისკენ.



თამარ შელიძე
555 23 28 24

# კორონა – გვირგვინი გლობალიზაციისა



**ავთანდილ არაბული:**

ალბათ ბევრს პირადად განუცდია ასეთი რამ (თუ – არა, წარმოიდგენს მაინც): თავაწყვეტილი მასობრივი ცეკვის დროს მოულოდნელად მუსიკა რომ გამოირთვება და მოცეკვავეთაგან ზოგი მყისიერად ჩერდება რაღაც წერტილში, ზოგი კი ინერციით კიდევ აკეთებს რამდენიმე მოძრაობას... რაც მთავარია, თითოეული მონაწილე ერთი გაელვებით აღიქვამს თავისი ფიზიკური (და – ფსიქიკური) მდგომარეობის აბსურდულობას!.. მაგრამ მზად არის მეორე წამსვე მიეცეს იმავე თავდავიწყებას...

აი, ასე: თითქოს განგებამ ერთი მკაცრი ჟესტით შეგვაჩერა ეპოქის მძაფრ რიტმს გამობმული კაცობრიობა და ეჭვისა და შიშის ჩრდილი ნისლივით დააფინა ჩვენს გზადაკარგულ გონებას...

ერთმა მან იცის, რა გაგრძელება ექნება ამ ამბავს.

ის კი ფაქტია, რომ თითოეული ჩვენგანი საკუთარი ფიქრის პირისპირ აღმოჩნდა, რაც „კორონაზე“ არანაკლები განსაცდელია დღევანდელი ბიურგერისა თუ ფილისტერისათვის.

რაც მთავარია, ყველა ჩვენგანი ცდილობს თავისებურად გაიაზროს ეს უახლესი მისტერია – ფილოსოფიური თუ პრაგმატული პასუხი უპოვოს მას.

1947 წელს, მწერლის გარდაცვალების შემდეგ, გამოქვეყნდა ალბერ კამიუს რომანი „შავი ჭირი“, რომელიც სამართლიანად იქნა გაგებული როგორც ფაშიზმის ალეგორია (ამას განაპირობებდა მწერლის ბიოგრაფიის დეტალებიც).

ამ ნაწარმოების მოქმედება ვითარდება ალჟირის ქალაქ ორანში (მინიშნება მომეცნიერო ელემენტებისათვის: ორანი გურულად „ჭაჭანებას“ ნიშნავს!), რომელსაც შავი ჭირის ეპიდემია მოედება და ეს სენი და, რაც მთავარია, მისი თანმხლები შიში ხდება ტოტალური მმართველი იმ სოციალური და პიროვნული პროცესებისა (ინსტინქტების გაღვივება, უიმედობის გაბატონება...), რომელიც ყველაზე მეტადააშკარავებს ადამიანის ნამდვილ სახეს.

მაგრამ ეს საუბარი კამიუს მიერ შექმნილ მხატვრულ სინამდვილეზე სამსჯელოდ არ წამოგვიწყია. ამ შემთხვევაში ჩვენთვის არსებითია ის, რომ შავი ჭირის ეპიდემია აქ გარკვეული საზოგადოებრივი პროცესების ალეგორიად არის წარმოდგენილი.

ახლა საკითხავია: შეგვიძლია თუ არა, რეალური ეპიდემია (პანდემია) წარმოვსახოთ არსებული ეპოქალური პროცესების ალეგორიად?

დიახაც შეიძლება, თუ წარმოვიდგენთ, რომ განგებამ – უდიდესმა რეჟისორმა – ჩვენთვის გაათამაშა კორონავირუსის პანდემია – როგორც გლობალიზაციის ალეგორია.

დიახ, ისე არაფერს ჰგავს ეს ტოტალური იდუმალი დაავადება, როგორც თავად გლობალიზაციას. როგორც იტყვიან – „მსგავსი მსგავსს შობს“!

საითხავია, რით ჰგავს?

იმით, რომ არ ცნობს საზღვრებს, სახელმწიფოებს, არ არჩევს სქესს, ასაკს, ცენზს, მდგომარეობას, სარწმუნოებას, კულტურას...

და პირიქით – გლობალიზაციისავე მსგავსად: თითოეულ ამ საკაცობრიო „ნიშანს“ ურთიერთგანსხვავებული მდგრადობა აღმოაჩნდა ამ განსაცდელის მიმართ.

კიდევ ერთი ანალოგია: ჩვენი სიცოცხლის მცველი ბრწყინვალე ექიმები შიგადაშიგ მწარე სიმართლეს გვეტყვიან ხოლმე. სწორედ ასეთი სიმართლე გაგვიმხილა ბატონმა თენგიზ ცერცვაძემ: კორონასთან დიდი ხნით კოჰაბიტაცია მოგვიწევსო! ეს კი იმას ნიშნავს, რომ უჩინარი თანამებრძოლი შემატებია ჩვენი ქვეყნის კოჰაბიტაციურ ნეგატივს – ნაცმოს, ჩვენ კი კიდევ ერთი მოუცილებელი ჭირი შეგვიძენია!..

გლობალიზაციის ზოგიერთი მოძულე (შინაგანად თუ გამოხატულად) აშკარა ოპტიმიზმს გამოხატავს, რომ ეს პანდემია რადიკალურად შეცვლის მსოფლიო წესრიგს და სათავეს დაუდებს გლობალიზაციის საპირისპირო პროცესებს.

ამ ილუზიას კვებავს ის, რომ გლობალიზაციის საყრდენმა სტრუქტურებმა ამ ბრძოლაში სერიოზული კრახი განიცადეს... და მრავალგან გაღვივდა თუ გაძლიერდა აზრი, რომ სხვისი („კოლექტიური“) იმედით ყოფნა მცდარია და ყველამ საკუთარ თავს უნდა მიხედოს!

არ დაიჯეროთ! – ეს ექსტრემალური ვითარების მოჩვენებითი აღქმაა, განწყობითი აბერაციაა, სასურველის რეალობად წარმოსახვაა.

სინამდვილეში მსოფლიო პანდემია კიდევ უფრო აძლიერებს გლობალიზაციას.

როგორ?

გლობალიზაციას უკვე აქვს ისეთი იარაღი, რომლის გაჩენის დროიდან ყოველი ექსტრემალური გამოწვევა მხოლოდ მის (გლობალიზაციის) წისქვილზე დაასხამს წყალს.

ეს იარაღი არის ინტერნეტი.

პროცესები ზემძლავრი გონებით განვითარდა:

გლობალიზაციამ საწყის ეტაპზე მოშალა ფიზიკური საზღვრები და ამ დროისათვის სამყარო პირობითად (თანაც – უპირობოდ!) გაიყო ორ „ბანაკად“ – ღია საზღვრების გაერთიანებად და დახურული საზღვრების სახელმწიფოებად. ამ ნიშნით „ომი“ დღემდე მიმდინარეობს...

მაგრამ მალევე – მეორე ეტაპზე – ტექნოლოგიურმა რევოლუციამ შექმნა უსაზღვრებო საინფორმაციო და კულტურული სივრცე, რამაც უკვე პირობითი გახადა თვით ფიზიკური (მათ შორის – ჩაკეტილი ქვეყნების) საზღვრებიც კი!..

ამ დროისათვის ამ უკანასკნელმა სამყარომ სრულად აამოქმედა ერთადერთი (ყველაზე გამოცდილი) საპასუხო იარაღი – რელიგიური ფანატიზმი და ექსტრემიზმი...

კორონავირუსის პანდემიამ – გლობალიზაციის სასარგებლოდ – ეს უკანასკნელი ბასტიონიც კი მოარღვია (და უფრო მეტადაც მოარღვევს).

ამიტომაც ვამბობთ, რომ უკანასკნელი პანდემია კიდევ უფრო აძლიერებს გლობალიზაციას, რაკი მთლიანად გადავყავართ უსაზღვრებო ვირტუალურ ცხოვრებაში.

აქამდე იყო გლობალიზაცია ადამიანებით, რომელთა მასა, მასობრივი გადაადგილება (დროებითი თუ მიგრაციული) სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა თავად გლობალიზაციის პოლიტიკას.

ახლა მივიღეთ გლობალიზაცია ადამიანების გარეშე, როდესაც სრულიად თავისუფალნი ვართ, მაგრამ ობიექტურად შეზღუდული გვაქვს თავისუფალი ნების განხორციელების შესაძლებლობა. ამ სამყაროში თავისუფალმა ადამიანმა დაკარგა თავისუფალი მოქმედების (შემოქმედების) პოტენცია...

სხვათა შორის, ალბერ კამიუ იტყვის, რომ „ადამიანი დიდ უბედურებას ვერ ეთვისება, ამიტომ თავს ირწმუნებს, რომ უბედურება არარეალურია, ის ცუდი სიზმარია და ქარს გაჰყვება; მაგრამ ის ყოველთვის როდი ქრება; სამაგიეროდ, ამ სიზმრებში ქრებიან ადამიანები, უწინარესად – ჰუმანისტები“!

იმდენად დიდი უბედურება კონკრეტული პანდემია კი არ არის, არამედ ის რეალური და ირეალური შედეგები, რომელთაც ის მემკვიდრეობად გვიტოვებს.

ამ კრიზისიდან ჩვენ გამოვალთ უფრო მეტად (მაქსიმალურად) ინტერნეტდამოკიდებულნი, საკუთარ თავში, საკუთარ შიშებში ჩაკეტილნი, „ეგოს“ მწყემსნი და მსახურნი... უსაზღვრო (და – უსაზღვრებო) ვირტუალური, უკონტაქტო ცხოვრებით (ვირტუალური სამუშაო, ვირტუალური განათლება, ვირტუალური გართობა, ვირტუალური ტურიზმი, ვირტუალური გამრავლება...)!

ზოგიერთი რამ ამათგან, კაცმა რომ თქვას, მისასალმებელიც კია (მაგალითად, ვირტუალური ტურიზმი). მერე მოგებაო? – იკითხავთ. პასუხი: არ გაიყიდება საგზური? – გაიყიდება ვირტუალური მომსახურება!..

ასე რომ, არ არსებობს მოვლენა, რომელსაც გლობალიზაცია თავის სასარგებლოდ არ გამოიყენებს!..

ამ გლობალურმა კრიზისმა რამდენიმე პოზიტიური ნიშანიც გამოაჩინა. კერძოდ:

1. გლობალიზაციის თეორიაშიც და პრაქტიკაშიც გამოკვეთილად ჩანდა, რომ ის ყველაზე უფრო ხელაღებითა და თანამიმდევრობით ებრძოდა ისტორიულ (ეროვნულ) სახელმწიფოებს (თუ რატომ, ვფიქრობთ, ამას ახსნა არ სჭირდება).

ნიშანდობლივია, რომ ეროვნული სახელმწიფოები ყველაზე უფრო მედეგნი და ქმედითნი აღმოჩნდნენ ახლანდელი პანდემიის გლობალურ გამოწვევასთან ბრძოლაში (ამის ერთ-ერთ საჩვენებელ ნიმუშად წარმოჩნდა ჩვენი ქვეყანა, თავისი ადამიანური რესურსებით, თავისი მართალი სარწმუნოებითა და ეკლესიით). ეს, ერთი მხრივ, აშკარად წარმოაჩენს ეროვნული სახელმწიფოების იმუნურ გამძლეობას ეპიდემიურ მოვლენათა მიმართ, მეორე მხრივ კი – დამატებითი არგუმენტია გლობალიზაციისა და პანდემიის ღრმა ურთიერთკავშირის სამტკიცებლად.

2. დიადი მომენტია, როდესაც ადამიანში ადამიანი იღვიძებს! სამწუხაროდ, კაცობრიობის ისტორია აჩვენებს, რომ ეს დიადი მომენტი დგება მხოლოდ ექსტრემალურ გამოცდათა ჟამს (ისიც – გამონაკლის, გამორჩეულ შემთხვევებში). ხოლო მიღწეული სოციალურ-კულურული დონის დაქვეითების ჟამს ადამიანი ასევე სწრაფად უბრუნდება პრიმატის არასახარბიელო დონეს. ცივილიზაციის კულტურული ეტაპები მას ინარჩუნებს მაღალი ზოოლოგიური არსებობის პირობებში, ოღონდ, როგორც ითქვა, ჭეშმარიტად ამაღლებული საფეხური განსაკუთრებულ გამოცდათა შედეგად მიიღწევა (და მათ ისტორია საგანგებოდ აღნუსხავს).

უკანასკნელმა პანდემიამ აჩვენა, რომ ადამიანი – როგორც ღვთის შვილი – ჯერ კიდევ არსებობს, რომ ის ჯერ კიდევ არ ქცეულა გლობალიზაციის ტოტალურ პროდუქტად.

3. რაც მთავარია, ქართველი – ეს საუკუნეებგამოვლილი უნიკალური ფენომენი – კვლავაც ცოცხალია და სიცოცხლისუნარიანი. მას „უცხოობაში სიამის“ ჟამსაც გონიერ გულში ჰქონია შენახული სამშობლოს ხატი და მისი, როგორც მიტოვებული მშობლის, უძლურებით მოდენილი ცრემლი დღემდე წმინდად შეუნახავს. თუმცა ყოფა ასე პოეტურად არ მეტყველებს და იქაც და აქაც ის ჯერ კიდევ მრავალ ბარიერს შეეჯახება, მაგრამ არსებითია, რომ ამ განსაცდელმა გააქარწყლა პირადად ჩემი ეჭვიც, რომ, თითქოს, ქართველმა ნოსტალგიის ნიჭი დაკარგა...

4. ადამიანს (ამაშიც უპირველესად ჩვენს ხალხს ვგულისხმობ) მწარედ გაახსენდა, რომ „ბუნება მბრძანებელია“ და ექსტრემალურად გამოფხიზლებულმა ხარბად ჩაისუნთქა, მართალია, ვირუსსაშიში, მაგრამ უჩვეულოდ გასუფთავებული ჰაერი... მან, როგორც მტანჯველ კოშმარში, დაჩლუნგებული გულისყურით იგრძნო მშობელი (ნაღალატარი) მიწის ძახილი და ცოდვილის სინანულით შეუდგა... ოცნების სოფლის შენებას...

ჩვენ რომ ოცნება ვიცით, ამ „ბროლის კოშკებიდან“ თუნდაც ერთი პროცენტი რომ განხორციელდებოდეს!..

იმავე გამაფრთხილებელ ინტონაციას დავუბრუნდეთ: ყოველივე ეს – სასიკეთო ნიშნებს ვგულისხმობთ – შექცევადია და უთუოდ გარდაუვალია, რომ, საშიშროების გაქრობისთანავე, კვლავ იგრიალებს ის გამორთული საცეკვაო მუსიკა და ადამიანი დაუყოვნებლივ დაუბრუნდება კაცობრიული თვითგანადგურების რიტმს...

ვინძლო, ქართველი ამ დაბრუნებაშიც ტრადიციულად მოგვიანე აღმოჩნდეს!



„მე ვარ COVID-19 –
ახალი დროის ფილოსოფოსი,
ახალი რელიგიის მქადაგებელი,
ახალი წესრიგის დამდგენი,
თქვენი არეული სახლის დამლაგებელი.“

ვახტანგ ხარჩილავა



# საქართველო უნდა გახდეს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გამტანი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა



*გვესაუბრება მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში, ვახტანგ გორგასლის ორდენის მფლობელი რომან რურუა*

**— ბატონო რომან, არჩევნები ახლოვდება, რას იტყვით, სწორი მიმართულებით ვითარდებოდა ქვეყანა ბოლო წლებში?**

— ქვეყანა მეურნეობაა. მთავრობა ამ მეურნეობის დირექტორი, ანუ მმართველი, რომელიც აწესრიგებს, ადგენს და აყალიბებს ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობებს, ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს ქვეყნის მიერ აღიარებული კურსის მიხედვით და ამით ის პასუხს აგებს მოსახლეობის წინაშე.

ყველა პრობლემის მთავარი მიზეზი ქვეყნის არასწორი მართვის მოდელია. ისეთი მოდელი უნდა მოიძებნოს. პირობითად, ბრძენთა საბჭო, ან რამე მსგავსი სათათბირო, რომელიც საზოგადოების მიერ იქნება დაკომპლექტებული და მერე ვერც ერთი მომდევნო ხელისუფლება ვერ შეეხება.

**— ანუ მუდმივი პარლამენტი?**

— პარლამენტი ხალხის რჩეული ორგანოა, რომელიც უნდა აკონტროლებდეს ხელისუფლების მუშაობას, აუქმებდეს უვარგის, უმოქმედო კანონებს და არ უნდა უდასტურებდეს მთავრობას იმგვარ კანონებს, რომელიც ქვეყნის წინსვლას აფერხებს.

კანონების მიღება და მისი სისტემატური ცვლა წამგებიანია. კანონს ფასი მაშინ აქვს, როცა ის ხანგრძლივ მოქმედებაშია. უხარისხო, არაადეკვატური კანონები იწვევს ქვეყნის განვითარების შეფერხებასა და საზოგადოების უკმაყოფილებას.

**— ე.ი. მართვის დღევანდელი მოდელი თქვენ არ მოგწონთ?..**

— მიმაჩნია, რომ ყველაფერი სხვაგვარად უნდა მოვაწყოთ: შევადგინოთ ფორმულა-კანონი, რომელიც ერის ბუნებიდან და მისი ხასიათიდან გამომდინარეობს. 70 პროცენტი ბუნებრივი, 30 — ხელოვნური, ანუ ოთახში დაწერილი. თუ ჩვენ მივაღწევთ ბუნების კანონის 70 პროცენტისა და ყველა დანარჩენის ჰარმონიულ შერწყმას, მაშინ ქვეყანასაც ეშველება. მაგრამ, სამწუხაროდ, პირიქით არის. მოქმედი კანონებიდან 70 პროცენტი ხელოვნურია და 30 — ბუნებრივი, რაც წინააღმდეგობაში მოდის ბუნების კანონზომიერებასთან.

პარლამენტის მიერ მიღებულმა თითოეულმა კანონმა უნდა გაიაროს აპრობაცია 2–3 წელი და მხოლოდ ამის მერე შევაფასოთ მისი მოქმედების უნარი, ჩავასწოროთ, გავაშალაშინოთ და მივიღოთ მუდმივ მოქმედებაში.

ერთხელ და სამუდამოდ ერმა უნდა გაიგოს, არჩევნების და დანიშვნის იმგვარი მეთოდები, რომლიც ბოლო ათწლეულებშია და რომელმაც მასობრივი ხასიათი მიიღო, დამანგრეველია. რამდენი ოცდაათი წელი უნდა გავიდეს, რომ მოინახოს ჭკვიანი მმართველი ან მმართველობა?! პოლიტიკოსი კი არა, მმართველი!

თანამედროვე სამყაროს მოთხოვნები გაიზარდა და მკვეთრად შეიცვალა. შესაბამისად უნდა შეიცვალოს ქვეყანაში მართვის სისტემაც. უნდა შემოვიღოთ კომისიური მიდგომა — ხალხის რჩეულთა ინსტიტუტი, რომელიც შეაფასებს მთავრობის ყოველწლიური მუშაობის შედეგებს და გააკეთებს დასკვნას სამი კრიტერიუმით: მადლობა გაწეული მუშაობისათვის; მოხსნა უხარისხო მუშაობისათვის; სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა იმ ქმედებების გამო, რომელმაც დააზიანა ქვეყანა.

ამდენად, პასუხისმგებლობისგან თავის არიდება და თანამდებობიდან თავისი ნებით წასვლა შეუძლებელი იქნება.

ხალხის მიერ არჩეულმა მთავრობამ მთავარ მიზნად უნდა დაისახოს იმ პროგრამის შესრულება, რის გამოც ის ხალხმა აირჩია.

მათი შესრულება სავალდებულოა. შესრულებული პროექტების შეფასება უნდა განისაზღვროს ოთხბალიანი სისტემით, ჩვენი საზოგადოება და მათი განვითარების დონე ამ ფორმულის მიხედვით უნდა განისაზღვროს. ეს მოგვცემს საშუალებას, უნარს, სწრაფვას, უკეთესობისაკენ. უნდა ამოქმედდეს კომისია, ანუ რჩეულთა საბჭო, რომელიც შეაფასებს და გამოაქვეყნებს მთავრობის მუშაობის შედეგებს, თუ როგორ ასრულებს ის მის მიერ წარმოდგენილ პროექტს, ექვემდებარება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯას, რომელზეც მთავრობა ზემოქმედებას ვერ მოახდენს. პროექტის შეცვლაზე უკეთესობისაკენ თანხმობას იძლევა საბჭო. შეფასება მოხდება წლიური შედეგების მიხედვით და არა ოთხწლიან პერიოდში. შემაჯამებელი შეფასება იქნება ოთხწლიანი. არ გამოირიცხება ყოველწლიურმა შეფასებამ მთავრობაში ცვლილებები გამოიწვიოს. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილ პროექტში ცვლილებები იქნას შეტანილი.

აქვე მინდა გითხრათ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა ათწლეულების მანძილზე შეიმუშავეს კონცეფცია-პროგრამა „ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თაობაზე“, სადაც უმთავრესი ადგილი ადამიანის ინტელექტს და ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას უჭირავს. ამავე მეცნიერული კვლევებით დადასტურებულია ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც ქვეყანას სწრაფად გამოიყვანს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან და დაიწყება აღმშენებლობის ახალი ერა, რომელიც საფუძველს ჩაუყრის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და სოციალურად ორიენტირებული სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას.

ყველაფერი ეს განხორციელებადია საქართველოს არეალში არსებული ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების რესურსული პოტენციალის — სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგების გამოყენებით, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობისაა, მისი რაოდენობრივი, თვისობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

**— ჩვეულებრივ სასმელ წყალზე საუბრობთ?**

— დიახ. წყალი ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეა და იგი უნდა იქნას გამოყენებული ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

**საქართველო უნდა გახდეს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გამტანი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა;**

სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგები უნდა დაკანონდეს ქვეყნის სტრატეგიულ რესურსად მისი განკარგვის უფლებით ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის.

**— კერძოდ, რა სარგებელი შეიძლება ამან მოიტანოს, რა ეკონომიკურ შედეგებს უნდა ველოდეთ?**

— პირველ რიგში, დაიწყება ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება, რასაც მოჰყვება 100 ათასამდე შრომისუნარიანი ადამიანის დასაქმება 1500 დოლარის ექვივალენტი ლარში საშუალო ხელფასის მოცულობით; ინდუსტრიულ მშენებლობას მოჰყვება საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა, რომელიც კალენდარული ერთი წლის შემდეგ 2,5 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს; სასმელი წყლის მზა პროდუქციის მსოფლიო სამომხმარებლო ბაზარზე გატანა-რეალიზაციისთანავე ამუშავდება კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენება, რაც ნიშნავს სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგების საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მატერიალიზებას ფასიანი მომგებიანი ქაღალდების: აქციების, ევროობლიგაციების, თამასუქებისა და თანამედროვე კრიპტოვალუტების სახით და იგი წარმოადგენს ახალ ფინანსურ ინსტრუმენტს გრძელვადიანი, მცირეპროცენტიანი ფულადი რესურსების მოსაზიდად დარგობრივ-ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად. დაიწყება სოფლისა და სატყეო მეურნეობის, ენერგეტიკის, განახლებადი ენერგიის წყაროების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულების გაზრდის, თანამედროვე ჰიდროსამელიორაციო სარწყავი სისტემების მშენებლობის, გადამამუშავებელი მრეწველობის, წყალმომარაგება-წყალარინების ახალი სისტემების, საზღვრისპირა მაღალმთიან რეგიონებში თანამედროვე სოფლების მშენებლობა, სადაც დაბრუნდებიან ისტორიულ მემკვიდრეობის მქონე საქართველოს მოქალაქეები და ამუშავდება მთისა და ბარის კოოპერირების ტექნოლოგიები, დაიწყება დაბებისა და სოფლების ურბანული განვითარება, საფუძველი ჩაეყრება კულტურული მემკვიდრეობის ახალი კერების მშენებლობას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას, სპორტულ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის განვითარების ხელშემწყობი პროექტების განხორციელებას. ამ სტრატეგიული პროექტების რეალურ განხორციელებას მოახდენს საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნის შემთხვევაში წყლის ეკონომიკის განვითარება. მივიღებთ საქართველოს შიდა სამრეწველო პროდუქციის ზრდის ეკონომეტრიკულ შედეგს, რაც საქარველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს. მე-6 მე-7 წლიდან დაიწყება ეროვნული ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა განვითარება, რასაც მოჰყვება ქვეყნის ფულადი შემოსავლების სწრაფი ზრდა და იგი მე-10 წელს მიაღწევს 51 მლრდ აშშ დოლარს. ამავე პერიოდიდან დარგობრივ-ეკონომიკურ პროექტებში დასაქმდება 400 ათასზე მეტი ადამიანი საშუალო ხელფასით 4300 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. მოიხსნება სიღარიბის არსებული მწვავე პრობლემები.

შეჩერდება მიგრაციული პროცესები. შეიქმნება ნავთობისა და გაზის საბადოების მფლობელი წარმატებული ქვეყნების მსგავსი უპრეცედენტო მოდელი, იმ უპირატესობით, რომ საქართველოს სასმელი წყლის რესურსები არამირევადი მუდმივგანახლებადი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტია. დაიწყება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება. ეტაპობრივად დაიწყება საქართველოს კანონი, თავი V, 47–48-ე მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებათა განხორციელება, რაც საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის მზრუნველობითი დამოკიდებულებისა და სოციალური სამართლიანობის აღდგენის მაგალითი იქნება. გადაიდგმება რეალური ნაბიჯები, ძლიერი, ეკონომიკურად დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის, რაც იძლევა ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის გაძლიერების სრულ გარანტიას. გაიზრდება მოსახლეობის ყიდვითუნარიანობა, შეიქმნება საშუალო ფენა, საფუძველი ჩაეყრება ერთიანი, ძლიერი, ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს რეალურ მშენებლობას, რითაც საქართველო ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო თანამეგობრობის პოლიტიკურ რუკაზე მშვიდობიანი ეკონომიკური სივრცით. მიღწეული იქნება კონსენსუსი სამი უმთავრესი ამოცანის გაგებისა და მისი განხორციელების მიზანშეწონილობაში:

ა) სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება;

ბ) სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება;

გ) საბაზრო ეკონომიკის ფორმირება, ეროვნული ეკონომიკის ფორმირება, რაც საზოგადოების ერთიანობის განცდის უნარის აღდგენის საწინდარია, ხოლო სამივე ერთად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გარანტიაა.

თქვენი გაზეთი სერიოზული გამოცემაა, ამიტომაც გადავწყვიტე ასე დეტალურად მესაუბრა თქვენთან ამ საკითხებზე, კერძოდ, წყლის ჩემეულ პროგრამაზე, რომელიც, მიმაჩნია, რომ ნამდვილად ამოიყვანს ჩვენს ქვეყანას არსებული ეკონომიკური კრიზისებისგან.



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# პოლიტიკური გაერთიანება „ქართული აგრძელებს მაჟორიტარობის კანდიდატების




## „ქართულმა ოცნებამ" ქუთაისის მოსახლეობას ზაზა ლომინაძე და იოსებ ხახალეიშვილი წარუდგინეს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას სიტყვით გამოსვლა ქუთაისში:**

მოგესალმებით, ქუთაისელებო! პირველ რიგში, მინდა, დავიწყო მადლობით. იმ მადლობით, რომლის გამოც ჩვენ დღეს ყველანი ერთად აქ ვართ და ასე წყნარად, მშვიდად ვსაუბრობთ ქვეყნის მომავალზე. ჩემი მადლობა, პირველ რიგში, უკავშირდება იმ დიდ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, რომელიც ქუთაისმა და იმერლებმა გამოავლინეს ამ ბოლო 5–7 თვის განმავლობაში. მე ძალიან კარგად მესმის, რამხელა პრობლემა და რამხელა ცვლილებები შემოიტანა ამ პანდემიამ თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში.

მიუხედავად ამ განსაცდელისა, რომელშიც არა მარტო საქართველო, არამედ მთელი მსოფლიოა, არც ერთი წუთით და არც ერთი წამით სისტემური ინფრასტრუქტურული სამუშაოები ქვეყანაში არ შეჩერებულა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ, ქვეყანა დაგვხვდა ისეთ დღეში, სადაც ელემენტარული – სასმელი წყლის, სკოლის, ბაღის, გზის პრობლემები იყო, მიუხედავად იმისა, ვიღაცას ეგონა, რომ თურმე შეიძლება, ქალაქს, რომლის ისტორიაც ითვლება ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნიდან, ფუნქცია ვინმემ შესძინოს, ან ფუნქცია ვინმემ წაართვას. ქუთაისის შემთხვევაში, ეს უბრალოდ შეუძლებელია. აქ, ამ ქალაქში, ისტორიის დრო გაჩერებულია, იმიტომ, რომ აქ, მარადისობა სუფევს. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ხვალინდელ დღეზე, ძალიან კონკრეტულები უნდა ვიყოთ და უნდა გვქონდეს კონკრეტული გეგმა, რომელზეც ჩვენ, მზად ვართ, ვისაუბროთ.

მარტივ რამეს გეტყვით – რიკოთის უღელტეხილი. რიკოთს უღელტეხილი არის ის, რაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს, თბილისს და ქუთაისს შეაერთებს ინფრასტრუქტურულად ისე, რომ ხარისხობრივად შეცვლის ქვეყნის განვითარების სისწრაფეს, ყველა განზომილებით. ეს იქნება უდიდესი სარგებელი ჩვენი თითოეული მოქალაქისთვის, ეკონომიკისთვის. წარმოიდგინეთ, რომ დღეს, რიკოთის უღელტეხილზე უკვე მიმდინარეობს სამუშაოები, 99 გვირაბის და 53 ხიდის. უაღრესად ურთულესი საინჟინრო სამუშაოები, რომელიც აქ, ამ რეგიონში ჯერ არ ჩატარებულა. ქუთაისის შემოვლითი გზა, ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი გზა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, არ მინდა უკვე გაკეთებულზე საუბარი, მაგრამ ქუთაისის წყალმომარაგების პროექტით, რომელიც ივლისში გაეშვა, 200 000-მა ქუთაისელმა ოჯახმა, ისტორიაში პირველად, იგრძნო, რა არის 24-საათიანი წყალმომარაგება. კიდევ უამრავი საქმეა გასაკეთებელი და დასასრულებელი იმისთვის, რომ ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსოს და ქუთაისი იყოს ისეთი კომფორტული საცხოვრებლად, როგორც იმსახურებს. ვიღაცას ჰგონია, რომ ასეთ პირობებში, რაღაც ფუნქცია შესძინა ქალაქს, ან რაღაც ფუნქციას წაართმევს ქუთაისს.

დარწმუნებული ვარ, ყველანი ერთად, მას შემდეგ, რაც მივაღწევთ მიზანს, მივაკაკუნებთ და შევაბიჯებთ იმ დიდ ევროპულ ოჯახში, სადაც ჩვენი ადგილი ყოველთვის იყო ისტორიულად. არა ცალკეული პარტიის ინტერესიდან გამომდინარე, არამედ ქვეყნის ინტერესიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამ ბრძოლაშიც გავიმარჯვებთ, სამართლიან ბრძოლაშიც და მინდა, თითოეულ თქვენგანს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, თითოეულ ქუთაისელს, გამარჯვება გისურვოთ, გამარჯვება არა თითოეული ჩვენგანის, არამედ ქვეყნის გამო.

გამარჯვებას გისურვებთ!

●

**ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ზაზა ლომინაძის სიტყვით გამოსვლა ქუთაისში:**

მინდა გითხრათ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ქუთაისში უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული და სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტები განახორციელა და მკაფიოდ გამოიხატა ჩვენი ქალაქის, როგორც საგანმანათლებლო ცენტრის მნიშვნელობა. ამის მაგალითია ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელმაც პირველი სტუდენტები უკვე მიიღო. მინდა გითხრათ, რომ ზუსტად ეს არის მაჩვენებელი, საწინდარი და გარანტი იმისა, რომ ქუთაისი გელათის აკადემიის მემკვიდრეობას ღირსეულად გააგრძელებს.

მე ექიმი ვარ, გულის ექიმი, როგორც თქვენ ამბობთ ხოლმე. ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით ერთმანეთს, ვუსმენთ ერთმანეთის გულის ცემას და ქალაქის გულის ცემას. მინდა დაგარწმუნოთ და გითხრათ, რომ ამას აუცილებლად გავაგრძელებთ. ჩვენი ქალაქი საუკუნეების მანძილზე იყო და არის დონორი მთელი ქვეყნის ხელოვნების, განათლების, მეცნიერების და კულტურის სფეროში. მინდა მივესალმო ყველა ამ სფეროს წარმომადგენელს, რომლებიც დღეს ჩვენთან ერთად არიან. მივესალმები ჩვენს სპორტსმენებს, ქუთაისელ გამოჩენილ სპორტსმენებს, რომლებიც ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები არიან და მინდა მათ მომავალი წარმატებები ვუსურვო, მივმართო და ვუთხრა, რომ ქართული სპორტის მხარდაჭერა ჩვენი გუნდისა და ჩემს მიერ მომავალშიც აუცილებლად, უპირობოდ გაგრძელდება.

მივესალმები ახალგაზრდებს – განათლებული, გონიერი, პრინციპული, უკომპრომისო თაობაა და მათი ენერგია ჩვენი ქალაქის განვითარებისთვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

ქუთაისისთვის 2021 წელი მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ევროპის საბჭოს ტურისტული, კულტურული მარშრუტების რიგით XI საერთაშორისო ფორუმს ქუთაისი უმასპინძლებს და მინდა მოგილოცოთ ეს დიდი წარმატება.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან მსოფლიოს 30-მდე ქალაქში სრულდება პირდაპირი ავიამიმოსვლები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტურიზმის განვითარებას ჩვენს რეგიონში.

მნიშვნელოვანია ადრონული თერაპიის ცენტრი, რომელიც ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში განთავსდება. ეს იქნება რეგიონში ერთადერთი და უნიკალური ცენტრი, სადაც მკურნალობის პარალელურად წარიმართება მაღალი რანგის სამეცნიერო კვლევითი პროექტები და სამეცნიერო მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერებისა და სამედიცინო ტურიზმის განვითარებას.

ქალაქის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქუთაისის გრძელვადიანი და ფუნდამენტური განვითარებისათვის. მინდა გითხრათ, რომ სულ მალე ქუთაისის გენერალური განვითარების გეგმა გვექნება. მიმდინარეობს მუშაობა ქუთაისის თანამედროვე ლოჯისტიკური ცენტრების განვითარებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ლოჯისტიკური სერვისების ერთ სივრცეში თავმოყრას.



თქვენი მხარდაჭერის შედეგად, უკვე საქართველოს პარლამენტიდან ვიზრუნებ თქვენზე და ჩემს უსაყვარლეს ქუთაისზე. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სწორ არჩევანს გააკეთებთ. ერთად ქუთაისის წარმატებისათვის. ერთად საქართველოს წარმატებისათვის.

●

**ქუთაისის მერობის კანდიდატის იოსებ ხახალეიშვილის სიტყვით გამოსვლა ქუთაისში:**

ქუთაისი განსაკუთრებული ქალაქია, ამიტომ ამ ქალაქს სხვანაირი სიყვარული, დაფასება და მოვლა სჭირდება. ეს არის ქართული პოეზიის, სახვითი ხელოვნების, თეატრის, მუსიკის ნამდვილი მექა, ქართული კინემატოგრაფიის აკვანი და ადგილი, საიდანაც მრავალი ტიტულოვანი სპორტსმენი გაიცნო ჩვენმა ქვეყანამ.

ჩვენს პოლიტიკურ გუნდს და ჩვენი პარტიის დამფუძნებელს – ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ქუთაისთან დაკავშირებით შორს მიმავალი გეგმები აქვს. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მილიარდიანი პროექტი, რომელიც მართლაც უმნიშვნელოვანესია ჩვენს რეგიონში, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე საგანმანათლებლო კუთხით, სულ მალე გახდება მეცნიერების და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრი. ალბათ დამერწმუნებით, თითოეული ქუთაისელისთვის საამაყოა, რომ ჩვენმა ქალაქმა ღირსეული ადგილი დაიკავა თანამედროვე განათლების საერთაშორისო რუკაზე.

2021 წელი იქნება განსაკუთრებული წელი კულტურისა და კულტურული ღონისძიებებისათვის. ჩემი დიდი თანადგომა ექნება კულტურის სფეროს თითოეულ წარმომადგენელს და დაწესებულებას, ვინაიდან ჩვენ ქუთაისის ტრადიციებით, კულტურით, ცნობილი ისტორიული ტოლერანტობით ახალი გზა უნდა გავჭრათ ევროპაში.

ეს ის სფეროა, რომელსაც ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს ჩემს სამოქმედო გეგმაში და მე, ჩემს გუნდთან ერთად სულ მალე შევუდგები ამის განხორციელებას.

აქვე, დავეთანხმები ბატონ ზაზას და ვიტყვი, რომ 2021 წელი განსაკუთრებულია ჩვენი ქალაქისთვის იმიტომ, რომ ქუთაისი და საქართველო პირველად უმასპინძლებს ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების ფორუმს და ეს ნამდვილად მისასალმებელია. სიამაყით ვიტყვი, რომ ამ გადაწყვეტილებაში ჩემი წვლილიც არის. სწორედ ასეთი საერთაშორისო ფორუმების მეშვეობით შეგვიძლია ჩვენი ქალაქი გავხადოთ შესაძ-

# „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ წარდგენას საქართველოს რეგიონებში

ლებლობების ქალაქად. ეს შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერი და ინფრასტრუქტურულად გამართული ქალაქისათვის და ამის მიღწევა შესაძლებელია განვითარებული ტურიზმით, ჩვენი ულამაზესი, ახალი აეროპორტით და იმ საავტომობილო ქარხნით, რომელიც მოკლე ხანში დაიწყებს ელექტრომობილების წარმოებას.

ძლიერი ქუთაისი ძლიერი იმერეთია. ძლიერი იმერეთი, ძლიერი რეგიონები – ეს ხომ ძლიერი საქართველოა. მინდა, ისეთი ქალაქი გადავაბარო ჩვენს შვილებს, რომელიც ტრადიციულად იქნება ქვეყნის სახელმწიფოებრიობის საფუძველი, განათლებისა და კულტურის ცენტრი, ქართული ურთიერთობების ეტალონი, ხალასი იუმორის აკვანი, იქ, სადაც ახალი გაბრიაძეები, ფალიაშვილები, ბალანჩივაძეები და ანჯაფარიძეები დაიბადებიან.

რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება, ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა გვაქვს, ბევრ ადამიანს უნდა დავუდგეთ გვერდში. დარწმუნებული ვარ, ჩემი პოლიტიკური გუნდის და ჩემი ქუთაისელების მხარდაჭერით, თქვენი მხარდაჭერით, აუცილებლად გავიმარჯვებთ და შევუდგებით ჩვენი ქალაქის აღმშენებლობას.

ერთად საქართველოს წარმატებისთვის! თითოეული ქუთაისელის წარმატებისთვის!

### „ქართულმა ოცნებამ“ ტყიბულისა და თერჯოლის მოსახლეობას ბექან წიქაზე და ლაშა გოგიაშვილი წარუდგინეს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას სიტყვით გამოსვლა ტყიბულში:**

მოგესალმებით, ტყიბულელებო! მოგესალმებით, მაღაროელებო!

საქართველოში არ არის ბევრი ქალაქი, რომელსაც შეიძლება ასეთი სწრაფი ეკონომიკური განვითარების პოტენციალი ჰქონდეს, თუმცა გამოწვევები ძალიან ბევრია, თუნდაც მაღაროელების ნაწილში და გარდა იმისა, რომ ეკონომიკა და წარმოება უნდა იყოს მომგებიანი, შრომის უსაფრთხოების ელემენტარული პირობები უნდა იყოს დაცული.

ჩვენ ბევრი ტრაგედია გვაქვს აქ გადატანილი, ყველას ერთად. საქართველოს პარლამენტში უკვე განიხილება ახალი შრომის კოდექსი, რომელიც კიდევ უფრო უზრუნველყოფს მშრომელი ადამიანის შრომის პირობების უსაფრთხოებას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია და წლების წინ საერთოდ არავის ახსოვდა.

ტყიბულისმაგვარ ქალაქებში, ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, არის ჩვენი სისტემური ინფრასტრუქტურა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არ იყოს განსხვავება, ადამიანი ცხოვრობს თბილისში, ბათუმში, ტყიბულში, თერჯოლაში, ზუგდიდში, თუ სხვაგან. სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები და სერვისები ყველგან უნდა იყოს ერთი და იგივე. სისტემური ინფრასტრუქტურა უნდა იყოს დაახლოებული ერთმანეთთან. რა თქმა უნდა, გზები, წყალი, გაზი – ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი უნდა იყოს თითოეულ ქალაქში და სოფელში. ამისთვისაც ბევრი შრომა დაგვჭირდება, იმიტომ, რომ ყველამ კარგად იცის, რა მდგომარეობაში დაგვხვდა ჩვენ ეს ინფრასტრუქტურა და მიუხედავად იმისა, რომ მომავალი 4 წლის განმავლობაში სისტემურ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებული იქნება 20 მილიარდი ლარი, 4 წლის შემდეგაც, ჩვენი სისტემური ინფრასტრუქტურა, ევროპის დონეზე მაინც ვერ მივა.

გარდა ამისა, მოგეხსენებათ, რომ სკოლები, საბავშვო ბაღებია გასარემონტებელი და ეს ყველაფერი ჩვენ ერთად უნდა გავაკეთოთ. მარტივი მაგალითებია, მაგალითად რაც დღეს ტყიბულში ხდება – იდგა სასმელი წყლის გამწმენდი ნაგებობის პრობლემა, რომლის რეკონსტრუქცია დავიწყეთ და დამთავრდება ისევე, როგორც ქსელების რეკონსტრუქციის პროექტი კეთდება იმისთვის, რომ როცა გამწმენდი ნაგებობა გვექნება, ტყიბულში 24-საათიანი წყალმომარაგება იყოს საბოლოოდ.

რა თქმა უნდა, ბავშვებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი პირობები იმისთვის, რომ მიიღონ ხარისხიანი განათლება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ იმ ადამიანებს რეგიონებში, მათ შორის ტყიბულში, რომლებსაც უნდათ, პირველი ნაბიჯები ბიზნესში გადადგან, სახელმწიფო გვერდით დაუდგეს და ეს პირობები შეუქმნას, თანაბარი პირობები შეუქმნას ყველას, იმის მიუხედავად, ვინ სად ცხოვრობს და ვის როგორი შესაძლებლობები აქვს. ეს არის ჩვენი ძირითადი მიზანი, რომელზეც თქვენთან ერთად უნდა ვიშრომოთ ყოველდღიურად, იმისთვის, რომ საბოლოო ჯამში მივაღწიოთ ეკონომიკურად ძლიერ, სამართლიან, განათლებულ და ევროპულ სახელმწიფოს.

ქართული ოცნება 41
ერთად საქართველოს წარმატებისთვის!





●

**პარლამენტის ვიცე სპიკერ მამუკა მდინარაძის სიტყვით გამოსვლა თერჯოლაში:**

დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველა ერთად, გვერდით დგომით, ბევრ რამეს გავაკეთებთ. დარწმუნებული ვარ, ბექან წაქაძის შემართება ისეთია, რომ არ მოასვენებს აღმასრულებელი ხელისუფლების არცერთ წარმომადგენელს, რომ თერჯოლაში კიდევ უფრო მეტი პროექტი განხორციელდეს.

აქ უამრავი ადამიანია, რომელთაც შესწევთ უნარი, გაუმჯობესდეს ის სერვისები, პროგრამები და პროექტები, რომლებსაც დღეს სახელმწიფო სთავაზობს საზოგადოებას. ჩვენ ამ ყველაფერს წარმატებულად გამოვიყენებთ. წარმატება ჩვენ უნდა გავიხადოთ საფირმო ნიშნად, უამრავი პროექტი და საკითხია, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ. განსაკუთრებით, ბოლო დროს ჩვენ ვნახეთ, რომ მსოფლიოს წინაშე შევძელით გვეამაყა კონკრეტული მენეჯმენტით, რომელმაც შეგვაძლებინა გვეთქვა, რომ დღეს ეს არის საჭირო, კონკრეტული ნაბიჯებია საჭირო, გადაგველახა ყველაზე კრიზისული პერიოდი და დღეს გამართულად, თავისუფლად გვესაუბრა რომ მეორე ტალღას გადავლახავთ ძალიან წარმატებით. დარწმუნებული ვარ, ერთად დგომით და შრომით ბევრს გავაკეთებთ, ბევრ წარმატებას მივაღწევთ. ბოლო დღეებში აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ 2012 წლამდე ავტობანი რამდენიმე წელში 68 კილომეტრი აშენდა, წელს ჩვენ ვაშენებთ 70 კილომეტრს და ასეთი მაგალითი ბევრია. დარწმუნებული ვარ, როდესაც ასეთი ინერცია გვაქვს აღებული, განვითარების დინამიკა კიდევ უფრო მაღალი იქნება და თერჯოლა ამაში განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს.

### „ქართულმა ოცნებამ“ ხარაგაულის მოსახლეობას პაატა კვიჟინაძე და კობა ლურსმანაშვილი წარუდგინეს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას სიტყვით გამოსვლა ხარაგაულში:**

მოგესალმებით, ხარაგაულელებო!

ისტორიულად, ამ მუნიციპალიტეტისთვის, რეგიონისთვის გზას ყოველთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქ ცნობილი საქარავნე, სავაჭრო გზები გადიოდა. რაც დღეს აქ ხდება და რასაც ყოველდღე ვუყურებთ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში ვმოძრაობთ, მართლაც შთამბეჭდავია. ამ რეგიონში არსად, მსგავსი სირთულის საინჟინრო ნაგებობები არასდროს აშენებულა. რასაც დღეს აქ ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს, უაღრესად შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის.

რა თქმა უნდა, ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკი, დაცული ტერიტორია, ტურისტულად უაღრესად მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ დღეს პანდემია გვაქვს და ტურისტები გვაკლია, ესეც გადაივლის, აქაც ერთად გავიმარჯვებთ ყველა. ამ მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი არის უდიდესი და რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობაც. სოფლის მეურნეობა აქ ყოველთვის იყო განვითარებული და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მიუხედავად საკმაოდ რთული რელიეფისა, თითოეულ ოჯახს, რომელიც აქ ცხოვრობს, მთავრობა მიეხმარება სხვადასხვა პროგრამებით, იმისთვის, რომ ადამიანები დამაგრდნენ მიწაზე, ისინი ვისაც ამის სურვილი აქვთ; ახალგაზრდებს ჰქონდეთ იგივე შესაძლებლობა, რა შესაძლებლობებიც თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში გვაქვს.

ამისთვის, ყველა ის პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს ეკონომიკის სამინისტროს, „აწარმოე საქართველოში“ საშუალებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა პროგრამით, ტურიზმის სააგენტოს პროგრამებით, შეგიძლიათ თქვენს მუნიციპალიტეტში უკვე მიიღოთ.

ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს ერთად დაწყებული და ყველა ეს მნიშვნელოვანი საქმე უნდა დავასრულოთ ერთად და გამარჯვებით. ამ გამარჯვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება არჩევნები, რომელიც უნდა ჩავატაროთ 31 ოქტომბერს და დარწმუნებული ვარ, რომ სამართლიან ბრძოლაში ბატონი პაატა კვიჟინაძე გაიმარჯვებს, ამაში უბრალოდ ეჭვი არ მეპარება. წლებია, ვიცნობ ამ ადამიანს, ერთად ბევრი გვიმუშავია, მისი კომპეტენტურობა და კეთილსინდისიერება ყოველთვის იყო სანიმუშო და მე ამას ლამაზი სიტყვებისთვის არ ვამბობ. დარწმუნებული ვარ, ბატონი პაატა გააგრძელებს პარლამენტში მუშაობას და იქნება უკვე ხარაგაულელების ღირსეული ხმაც. ამ მიზნის მისაღწევად ამ არჩევნებშიც ერთად უნდა გავიმარჯვოთ და გისურვებთ გამარჯვებას!

®

# ხალხის მასწავლებელი

კარგად მახსოვს, როგორ ვაყოლებდი თვალს და ვკითხულობდი: — „აი, ია“, — „აი, თითი“ და პირველკლასელს ყოველთვის, რატომღაც, იაკობ გოგებაშვილი წარმომიდგებოდა, როგორც ტანმორჩილი, წყნარი მოხუცი...

სინამდვილეში, ის ყოფილა მაღალი, ჩასხმული და ლამაზი ვაჟკაცი, ომახიანი და მჭექარე ხმით, თუმცა, მის თანამედროვეთა აღწერით, მის ამ ახოვანებას და რიხიანობას არ ეხამებოდა სევდით მოშზირალი სახე, ოდნავ ფერმკრთალი იერით და კეთილშობილური გამომეტყველებით. მისი წაბლისფერი თმა მუდამ ურჩობდა და ოდნავ შერხევაზე მის სპეტაკ შუბლზე ხვეულ კულულებად ეფინებოდა. თვალები იშვიათი ჰქონდა, ფართო ღია ბაიებით, რიხიანი, უშიშარი და პირდაპირ მიმხლელი, პირშივე მთქმელი სათქმელისა, ფიცხი და ამავე დროს განსაცვიფრებლად დინჯი იყოო.



იაკობ გოგებაშვილი დაბადებულა 1840 წელს, 27 ოქტომბერს, სოფელ ვარიანში, რომელიც ქალაქ გორიდან 12–13 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. მამა — სიმონ გოგებაშვილი სოფელ ვარიანის მღვდელი ყოფილა, დედა — მაგდანა კალმახელიძე.

ოჯახი მრავალშვილიანი ყოფილა — ექვსი ძმა და ორი და.

სიმონ გოგებაშვილს სურდა შვილებიც სასულიერო პირები გამოსულიყვნენ. თავად იაკობი, რატომღაც, მშობლებს თურმე ბერად წარმოედგინათ. 8 წლისა გორის სასულიერო სასწავლებელში მისაბარებლად წაუყვანიათ, მაგრამ უფროს ძმას — ივანეს, მცირეწლოვნებისა და სუსტი აგებულების გამო გორში არ დაუტოვებია და ერთი წლის მერე თბილისის სასულიერო სასწავლებელში შეუყვანია.

თბილისის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იაკობ გოგებაშვილი სასულიერო სემინარიაში შევიდა. მამისა და სემინარიის რეჟიმის შთაგონებით, ერთხანს საეკლესიო სამსახურისთვის ემზადებოდა თურმე, მაგრამ სამეცნიერო განათლების მიღების შემდეგ სასულიერო კარიერაზე უარი უთქვამს და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე დაუწყია ფიქრი.

კიევში სწავლისას გასცნობია დარვინის, ჰუმბოლდტის, ბოკლის, სპენსერის, შლოსერის და სხვათა ნაწარმოებებს. კითხულობდა კანტს, ფიხტეს, ჰეგელს, გამოჩენილ რუს მოაზროვნეებს: ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, ჰერცენს, პისარევს და სხვებს.

კიევის ჰავამ იაკობზე ცუდად იმოქმედა. სწორედ იქ დაავადდა საუკუნის სენით — ტუბერკულოზით და ექიმების დაჟინებული თხოვნით, სამშობლოში დაბრუნდა.

საქართველოში დაბრუნებული იაკობი სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად მოეწყო...

იმ პერიოდში საქართველოში ყველაფერი ქართული სასტიკად იდევნებოდა. ქართული ენის ხსენებასაც კი კრძალავდნენ. ზოგიერთი გაყოყოჩებული ქართველი ქართულად ლაპარაკსაც კი თაკილობდა, როგორც ამბობენ, მაშინდელი ინტელიგენცია რუსულად აზროვნებდაო...

იაკობ გოგებაშვილი აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მეთაურობდნენ.

კიევიდან დაბრუნებიდან ორი წლის შემდეგ 1865 წელს 25 წლის იაკობ გოგებაშვილი წერს წიგნს: „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“. მას მოჰყვება „ბუნების კარი“, „დარიგება მოსწავლეთათვის...“ და „დედა ენა“, წიგნი რომელიც მის სიცოცხლეშივე 33-ჯერ გამოიცა.

ამ წიგნებმა დაუდო საფუძველი დამცირებული და უარყოფილი ქართული ენის ფართოდ გავრცელებას და აღორძინებას საქართველოში.

როგორც მოსალოდნელი იყო, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურმა მოღვაწეობამ სინოდისა და ცარიზმის წარმომადგენელთა უკმაყოფილება გამოიწვია. უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის რწმუნებულ კერსკის სასწავლებლის მკაცრი რევიზია მოუხდენია.

იმ პერიოდში იაკობ გოგებაშვილი მძიმედ იყო ავად — ფილტვებიდან სისხლს ალებინებდა და ამ რევიზიაზე სემინარიაში ვერ გამოცხადდა. კერსკიმ კი დაადგინა, ვითომდა, იაკობ გოგებაშვილი თავის საცხოვრებელ ბინაში ახალგაზრდობის ფარულ შეკრებებს აწყობდა, ხოლო სემინარიის მოწაფეებს „უარყოფითი მიმართულების წიგნებს“ აკითხებდა, რითაც ანტირელიგიურ შეხედულებებს უნერგავს ყმაწვილებსო.

იაკობ გოგებაშვილი საზოგადოებრივი სამსახურისთვის არაკეთილსაიმედო პირად გამოაცხადეს და სასწავლებლიდან გააძევეს.

ჩამოართვეს სახელმწიფოსგან მიცებული ბინაც.

ნიკო ლომოური წერს:

„შუა დღე იქნებოდა მოტანებული, როცა მე რაღაც საქმისთვის ვერის სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ჩავდიოდი ძირს. მარცხენა ნაპირიდან ვიღაც კაცი მოადგა მტკვარსა და ისე, გაუხდელი, შევიდა წყალში. შუა ადგილს წყალმა წააქცია და რამდენსამე წამს სრულიად დამალა, მერე კვალად გამოჩნდა, იწყო ბრძოლა ტალღებთან და ნაპირს დაუახლოვდა. მაშინათვე მივეშველე მეც და, როდესაც სახეზე შევხედე, მეტის მწუხარებისა და გაოცებისაგან კინაღამ გული შემიწუხდა: ეს იყო იაკობ გოგებაშვილი“.

იაკობი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს და ერთი თვე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იყო. როცა მოკეთდა, უბინაოდ დარჩენილი მისმა გულითადმა მეგობარმა ნიკო ცხვედაძემ წაიყვანა სახლში. მოგვიანებით, ხელმოკლეობის გამო 3 მანეთად ერთი პატარა ოთახი დაიქირავა ვერაზე, „კალიუჩი ბალკას“ უბანში.

გადაწყვიტა, არასდროს დაბრუნებოდა სახელმწიფო სამსახურს. დაწვა ყველა ოფიციალური საბუთი — სემინარიის ატესტატი, აკადემიაში სწავლის მოწმობა და დაიფიცა: ამიერიდან მთელ ჩემს ძალას და ღონეს ჩემს სამშობლოს შევწირავო.

უბინაომ, უსახსრომ, უსამსახურომ და მძიმე ავადმყოფმა მრავალი განსაცდელი გამოიარა, მაგრამ ამ დაფიცებისთვის არასდროს უღალატია.

იაკობ გოგებაშვილმა თავი მთლიანად ჩვენი საქართველოს და მის კეთილდღეობას მიუძღვნა.



აქტიურად მონაწილეობდა ყველა ეროვნულ საქმეში — ზეპირსიტყვიერების შეგროვებაში, საბავშვო ჟურნალების გამოცემაში, ხალხური სიმღერების ნოტებზე გადატანაში, სასოფლო-სამეურნეო სკოლის, ბიბლიოთეკების დაარსებაში. მან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ წიგნით ვერ შეძლებდა ერის განათლებას, ამიტომ იბრძოდა სახალხო სკოლების შექმნისა და დამკვიდრებისთვის. იცავდა რეალური განათლების უპირატესობას ფორმალურთან შედარებით...

ამასობაში ისტამბებოდა მისი წიგნები და იაკობს შემოსავალი გაეზარდა.

ამ შემოსავალს კი იგი მთლიანად უთმობდა სახალხო განათლების განვითარებას. მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, ბევრ მათგანს თვითონ უხდიდა სწავლის ფულს. უგზავნიდა თანხებს რუსეთსა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში ქართველ სტუდენტებს, ციმბირში გადასახლებულ საზოგადოებრივ- პოლიტიკურ მოღვაწეებს, მატერიალურად ეხმარებოდა და სტიპენდიას urიცხავდა შემდგომში გამოჩენილ კომპოზიტორებს — ზაქარია ფალიაშვილსა და დიმიტრი არაყიშვილს და ეს იმ დროს, როცა თვითონ საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა; ისეც ყოფილა, რომ ბინის ქირის ფულიც ვერ გადაუხდია და მეგობრებს შეუფარებიათ დროებითი საცხოვრებლიდან გამოძევებული იაკობი.

იაკობ გოგებაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწის და ჟურნალისტის იოსებ მამაცაშვილის ლიტერატურულ სალონში, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას. იყო ამ საზოგადოების გამგეობის აქტიური წევრი და თავისი შემოსავლებიდან ფინანსურ დახმარებას უწევდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. ერთხელ ჰონორარის სახით მიღებული 13 000 მანეთი მთლიანად გადაუცია საზოგადოებისთვის და თავისთვის არაფერი დაუტოვებია. იაკობი არასდროს გვერდზე არ განდგომია არც ერთ ეროვნულ საქმეს, რომ ფულით ან სიტყვით აქტიური მონაწილეობა არ მიეღო.

იაკობ გოგებაშვილს სასტიკი იდეური ჰაერივით ჰქონდა ქართულ ენის დაუძინებელ მტერთან იანოვსკისთან, აზორდებს და მისთანებთან. როცა აზორდიამ, რუსების ჩაგონებით, სამეგრელოდან ქართული ენის განდევნა მოინდომა, თვითონ ხომ ფარად აღმართულა, ილიასთვისაც შეუძახებია: გაგვიძეხ, ბერო მინდიავ, კარს საფრთხე მოგვდგომიაო!

რუსული ბიუროკრატიისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლებს — ილიას, აკაკის და სხვებს აუგი სიტყვა არასდროს დასცდენიათ რუსული კულტურისა და ენის საწინააღმდეგოდ. ამ ერის კულტურის ღირსეულად დაფასების გარდა, დიდმა მამულიშვილებმა კარგად იცოდნენ, რომ მტრის ენა და კულტურა ზედმიწევნით უნდა შეისწავლო, თუ გინდა, რომ მასზე გაიმარჯვო...

1887 წელს იაკობ გოგებაშვილმა შეადგინა „რუსსკოე სლოვო“, რომელიც ამ დიდი მოღვაწის ასევე ფრიად ყურადსაღები ნაშრომია.

იაკობ გოგებაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელი გახლავთ. მისი შემოქმედების ძირითადი წყარო მდიდარი ქართული ფოლკლორია. ასეა შექმნილი მისი „ქურდი და მამალი“, „მერცხალი და მეცხვარე“, „ცხვარი და მარტი“, ისტორიულ თემაზე აქვს შექმნილი შესანიშნავი მოთხრობები: „ასპინძის ომი“, „იოთამ ზედგინიძე“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „ცოტნე დადიანი“, „მღვდელი თევდორე“, და მრავალი სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოთხრობა „ივანნამ რა ჰქმნა“, რომელიც ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს და ხალხებს შორის მეგობრობას ქადაგებს.

იაკობ გოგებაშვილმა დიდი ამაგი დასდო საბავშვო ჟურნალებს: „ნობათს“, „ჯეჯილსა“ და „ნაკადულს“.

მის თანამედროვეთა შეფასებით, პატიოსანი, უანგარო, კეთილშობილი ადამიანი, იაკობ გოგებაშვილი, მცირე ქონების პატრონი ყოფილა, თუმცა, თავისი დროის ძალიან დიდ ქველმოქმედად ითვლება, რადგან მისი წიგნების მთელ შემოსავალს ქველმოქმედებას ახმარდა, ამბობდა თურმე: ყველაფერი ჩემმა ხალხმა მომცა და ისევ ხალხს უნდა დავუბრუნოო.

ის სიცოცხლეშივე ხომ ხელგაშლილი ქველმოქმედი ყოფილა, სიკვდილის შემდეგ ქართველი ხალხი დიდადაა მისგან დავალებული.

1912 წელს იაკობ გოგებაშვილი მძიმედ გახდა ავად. თბილისის საუკეთესო ექიმები მკურნალობდნენ, მაგრამ ვერ გადაარჩინეს. ის 14 ივნისს გამთენიისას, 6 საათზე, გარდაიცვალა.



არასდროს დაოჯახებულა. ამბობდა თურმე, არ მინდა შთამომავლობას მძიმე სენი გადავდოო.

სიკვდილის წინ ანდერძი დაუწერია და მთელი ქონება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის“ დაუტოვებია.

შავი დღისთვის გადანახული ფული ასე გადაუნაწილებია:

ათ-ათი თუმანი ქართველთა, სომეხთა და მაჰმადიანთა საზოგადოებებისთვის, ვარიანის სახლი თანასოფლელებისთვის, სადაც მერე სკოლა გახსნილა. 300 თუმანი თავისი დასაფლავებისთვის და საფლავზე ძეგლის დადგმის ხარჯების დასაფარად, სხვა თანხები სალიტერატურო ფონდისთვის, ქართული დრამატული საზოგადოებისთვის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებისთვის, ჟურნალი „განათლებისთვის“ და სახალხო უნივერსიტეტისთვის, 900 მანეთი წლიური შემოსავალი და ვერაზე საკუთრებაში არსებული მიწა, ასევე, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის“, სხვა თანხები ეკატერინე გაბაშვილის ქალთა პროფესიონალური სასწავლებლისთვის, განათლების საზოგადოებისთვის, ქართული საბავშვო ბაღისთვის ათი თუმანი, აკაკი წერეთლისთვის ჰონორარად, იმ ლექსებისთვის, რომლებიც შესული იყო იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში. განათლების ფონდის დასაარსებლად, გაყიდული წიგნებიდან უნდა გადადებულიყო არა ნაკლებ ერთი კაპიკისა, ამ ფონდიდან უნდა დაენიშნათ სტიპენდიები მასწავლებლებისთვის, გლეხთა და მუშათა შვილებისთვის.

იაკობ გოგებაშვილს თავის ანდერძში უყურადღებოდ არ დაუტოვებია მისი წიგნების ასოთამწყობი ლადო კალანდაძე, წიგნის მაღაზიის გამგე ივანე ავალიშვილი და „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბუღალტერი ვასო ელიაშვილი, რომელთათვისაც ას-ასი მანეთი უანდერძებია.

„როდესაც იაკობი დაასაფლავეს და მისი ქონების განაწილებაზე მიდგა საქმე მის ნათესავთა და მეგობართა შორის, კუთხეში იდგა ცრემლმორეული ლუარსაბ ბოცვაძე (პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე). როდესაც ჰკითხეს, შენ რაღას წაიღებო, ის შეირხა თვალი მიაშტერა კუთხეში მიგდებულ ჯოხს, რომელზეც არავინ არ სდავობდა და წყნარად თქვა: მე კიდევ აგერ ეს ჯოხი მომეცით სახსოვრადო“, — იგონებს იაკობ გოგებაშვილის ძმისშვილი შალვა გოგებაშვილი.

დიდი იაკობი დიდუბის სასაფლაოზე დაასაფლავეს.

„წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვერცხლის გვირგვინი მიართვა წარწერით: ხალხის მასწავლებელს — იაკობ გოგებაშვილს.

1940 წელს იაკობ გოგებაშვილის ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# აშშ-ში არჩევნებისთვის ემზადებიან თუ სამოქალაქო ომისთვის?

## პოლიტიკოსები მოსახლეობას მოუწოდებენ მოიმარაგონ ტყვია-წამალი, რადგან არჩევნების პერიოდში შეიძლება მისი შეძენა გაუჭირდეთ



რასიზმთან ბრძოლა და რასობრივი თანასწორობის ლოზუნგით მიმდინარე აქციები ამერიკის შეერთებულ შტატებში, აღარავის უკვირს. უფრო მეტიც, ლამის ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენად იქცა. საბედნიეროდ, აქციები ჯერ აშშ-ის ფარგლებს არ გასცდენია. ამერიკელი ანალიტიკოსების შეშფოთებას იწვევს არა ქვეყანაში ყოველდღიური გამოსვლები, არამედ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები. მათი პროგნოზით, ხელისუფლების ცვლილება მშვიდობიანი არ იქნება. ექსპერტები არ გამორიცხავენ,



რომ ინაუგურაციაზე შეიარაღებული შეტაკება შეიძლება მოხდეს. ანალიტიკოსების ნაწილს მიაჩნია, სამოქალაქო დაპირისპირება აშშ-ი შესაძლებელია უფრო ადრეც ვიხილოთ. მათ პესიმისტურ განწყობას ამყარებს ცალკეული პოლიტიკოსების განწყობა, რომლებიც მოსახლეობას მოუწოდებენ მოიმარაგონ ტყვია-წამალი, რადგან არჩევნების პერიოდში გაუჭირდებათ შეძენა, დეფიციტური გახდებაო, ამტკიცებენ.

გაურკვეველია შეიარაღებული ძალების პოზიცია. ანალიტიკოსების აზრით, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში სწორედ სამხედროებს მოუწევთ ვითარების განმუხტვა და ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის დასტაბილიზირება. პენტაგონში პოლიტიკური განცხადებები ჯერ არ გაუკეთებიათ. ანალიტიკოსები საუბრობენ ასევე პოლიტიკურ სცენარზე, რომელიც შეიძლება განვითარდეს. მათი განცხადებით, შტატებში, სადაც ხელისუფლებაში დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები არიან, თუ იქ მოქმედი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გაიმარჯვებს, შტატის მთავრობას შეუძლია კონსტიტუცია მოიშველიოს და გააუქმოს არჩევნების შედეგები. თუმცა მსგავსი პრეცენდენტი აშშ-ის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. პოლიტოლოგები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზეც, რომ კონგრესის ქვედა პალატაში დემოკრატები არიან უმრავლესობაში. მათი კანდიდატის ჯო ბაიდენის დამარცხების შემთხვევაში არ გამორიცხავენ კონგრესმა პრეზიდენტად სწორედ ის გამოაცხადოს.

ცვლილებებია მოსალოდნელი აშშ-ის უმაღლეს სასამართლოში. გასულ კვირას 87 წლის ასაკში გარდაიცვალა მოსამართლე რუდ ბეილერ გინზბურგი. იგი 27 წელი მუშაობდა მოსამართლედ. გინზბურგი აშშ-ის ისტორიაში მეორე ქალი იყო, რომელსაც ეკავა მოსამართლის თანამდებობა უმაღლეს სასამართლოში. მისი ოჯახის წევრებისგან გახდა ცნობილი, რომ გარდაცვალებამდე დატოვა ანდერძი არავინ დანიშნონ მის ადგილზე საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებამდე.

გინზბურგი რესპუბლიკურ პარტიას კეთილი თვალით არ უყურებდა, დონალდ ტრამპის მრისხანე მოწინააღმდეგე იყო. მიუხედავად ამისა, როდესაც შეიტყო ტრამპმა გინზბურგის გარდაცვალება, საკმაოდ თბილად მოიხსენია და მის მოღვაწეობას უმაღლეს სასამართლოში მაღალი შეფასება მისცა. დონალდ ტრამპს დაჟინებით მოუწოდებენ დემოკრატები, განსაკუთრებით ჯო ბაიდენი არჩევნების დასრულებამდე არ დანიშნოს უმაღლეს სასა-



მართლოში ახალი მოსამართლე. ჯო ბაიდენი დაემუქრა კიდეც, თუ დანიშნავს, გამარჯვების შემთხვევაში, გაიწვევს. დონალდ ტრამპს აქვს შესაძლებლობა დანიშნოს მისთვის სასურველი კანდიდატი უმაღლეს სასამართლოში. მიუხედავად დემოკრატების წინააღმდეგობისა, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უკვე განიხილავს რამდენიმე, ორი-სამი პიროვნების კანდიდატურას და უახლოეს მომავალში დანიშნავს კიდეც ახალ მოსამართლეს. მისი განცხადებით კვლავ ქალს. პოლიტოლოგები აღნიშნავენ, მოსალოდნელი დაძაბული არჩევნების შედეგების ბედი ბევრად იქნება უმაღლეს სასამართლოზე დამოკიდებული. ამიტომ დონალდ ტრამპი შესაძლებლობას, რომელიც შემთხვევით ჩაუვარდა, ანუ უმაღლეს სასამართლოში მოსამართლის ახალ ვაკანტურ თანამდებობის გამოთავისუფლებას ხელიდან არ გაუშვებს და სათავისოდ გამოიყენებს. 9 მოქმედი მოსამართლიდან უმრავლესობა ტრამპის მომხრე იქნება, რაც მის სასარგებლოდ იმუშავებს ნებისმიერი დავის განხილვის შემთხვევაში. ვნახოთ, როგორი შედეგით დასრულდება უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის მანტიისთვის ჭიდილი დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის.

თეთრი სახლის მდელოზე, რომელიც პრეზიდენტის რეზიდენციაში ტრამპის საყვარელი ადგილია, გასულ კვირას ოფიციალურად გააფორმეს ხელშეკრულება დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე ისრაელის, არაბეთის გაერთიანებული ემირატების და ბაჰრეინის წარმომადგენლებმა. ისრაელის მხრიდან დოკუმენტს ხელი პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ მოაწერა, არაბული ქვეყნებიდან საგარეო საქმეთა მინისტრებმა. დონალდ ტრამპი შუამავალი გახლდათ. „...ახალი ისტორიული ერა იწყება ისტორიაში. წერტილი დავუსვით ისრაელის გაუთავებელ ომებს არაბულ ქვეყნებთან“, — განაცხადა ხელმოწერის შემდეგ ბენიამინ ნეთანიაჰუმ. თუმცა მიღწეული შეთანხმებით ყველა ქვეყანა როდია კმაყოფილი. პალესტინელებმა ხელშეკრულება არაბული ქვეყნებისთვის ზურგში დანის ჩარტყმად შეაფასეს. პალესტინის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა შეთანხმების მიღწევის თარიღს არაბული სამყაროსთვის „შავი დღე“ უწოდა. ღაზას სექტორიდან სარაკეტო შეტევაც განახორციელეს, რასაც ისრაელის 2 მშვიდობიანი მოსახლე ემსხვერპლა. საპასუხოდ ისრაელმა საჰაერო შეტევა განახორციელა და ჰამასის დაჯგუფების სამხედრო ბაზები გაუნადგურა. სავარაუდოდ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სიმშვიდის დამყარება მარტივი არ იქნება.

დონალდ ტრამპის ნობელის პრემიაზე წარდგენას მისი მომხრეები იმითაც ხსნიან, რომ მას ფართომასშტაბიანი ომი არავისთან არ დაუწყია. იყო განხორციელებული რამდენიმე ცალკეული მცირე სამხედრო ოპერაცია. დიდი ომის დაწყების საფრთხის წინაშე აშშ-ი და საერთოდ სამყაროც რამდენჯერმე იდგა, მაგრამ შეძლო ომი აეცილებინაო, აცხადებენ ტრამპის მხარდამჭერები. გასულ კვირას ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ დონალდ ტრამპმა სენსაციური განცხადება გააკეთა მისთვის სასურველი ტელეკომპანია „ფოქს ნიუსის“ ეთერში. პრეზიდენტის თქმით გადაწყვეტილი ჰქონდა სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის ფიზიკური განადგურება, რისთვისაც ყველაფერი გამზადებული იყო. „...ასადის ლიკვიდაციისთვის ყოველნაირად მზად ვიყავით, მაგრამ გენერალმა მეტისმა შემიშალა ხელი, ამიტომაც გავათავისუფლე თანამდებობიდან“, — განაცხადა ტელევიზიის პირდაპირ ეთერში დონალდ ტრამპმა. შეგახსენებთ, ჯეიმს მეტისი (მეტსახელად „ცოფიანი ძაღლი“) თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე მუშაობდა. ტრამპმა ირონიულად აღნიშნა: „... გადაჭარბებულია მისთვის ასეთი მეტსახელი“. როგორც ვხედავთ, ფართომასშტაბიანი ომი გენერლებმა აცილეს სამყაროს, რადგან რუსეთის ჯარი უკვე იმყოფებოდა სირიაში, რით დასრულდებოდა მათ მიერ სირიაში ასადის ლიკვიდაციის განსახორციელებელი სამხედრო ოპერაცია, ძნელი წარმოსადგენია.

ამერიკის სპეცსამსახურებმა გამოავლინეს დონალდ ტრამპის სახელზე კანადიდან გაგზავნილი ფაქტობრივად დივერსიული წერილი, რომელშიც მძიმე მომწავლელი ნივთიერება იყო. მისი საწინააღმდეგო ვაქცინა სამყაროში არ არსებობს. ორი დღის წინ კანადის საზღვარზე დააკავეს შეიარაღებული ქალი, რომელსაც ბრალდებად წერილის გაგზავნა წაუყენეს, მის ვინაობას ჯერ არ ასახელებენ. აღსანიშნავია, რომ მსგავს გზავნილებს ბარაკ ობამასაც უგზავნიდნენ, რისთვისაც ორი ადამიანი დღესაც იხდის სასჯელს.

„... მეგობარი გაჭირვებაში იცნობა“. — განაცხადა ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ სოჭში, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან შეხვედრისას. ბელორუსში პოლიტიკური სიტუაცია კვლავ გაურკვეველია, მაგრამ ლუკაშენკო მართვის სადავეებს ხელიდან არ უშვებს, პოზიციებს იმყარებს. რუსეთში ლუკაშენკომ მთელი დღე გაატარა, სადაც დილიდანვე ჩავიდა. პუტინთან პირისპირ საუბარი, რომელსაც არავინ ესწრებოდა, თითქმის 4,5 საათს გაგრძელდა. რაზე ისაუბრეს ორი ქვეყნის პრეზიდენტმა მხოლოდ ვარაუდი თუ შეიძლება. თუმცა, შედეგები მალე გამოჩნდა. რუსეთში ვიზიტიდან 48 საათიც არ იყო გასული ბელორუსში რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ ჩავიდა. ქალაქ ბრესტის პოლიგონზე ორი ქვეყნის ჯარებმა ერთობლივი წვრთნები გამართეს, რამაც ბელორუსის მეზობლების პოლონეთის და ლიტვის ხელისუფლების პროტესტი გამოიწვია. თუმცა, მათ უპასუხეს, რომ ერთობლივი წვრთნები ჯერ კიდევ შარშან იყო დაგეგმილი. სავარაუდოდ, მოლაპარაკების შედეგი რუსეთ-ბელორუსის კიდევ უფრო მჭიდრო კავშირია, რომელიც უფრო გაღრმავდა და სამოკავშირეო ქვეყნის შექმნას მოასწავებს.




გამოსვლები, რომლებსაც ცალკეული ქვეყნები მშვიდობიანად მოიხსენიებენ ბელორუსში გრძელდება. თუმცა, სამართალდამცავები ზომაზე მეტ სიმკაცრეს იჩენენ მომიტინგეთა მიმართ, რომელთა ნაწილს თავიანთი შეხედულებებით უცერემონიოდ აკავებენ. კვირას, ბრესტში მიტინგის დაშლისას სროლის ხმა ისმოდა, პოლიციამ გამაფრთხილებელი გასროლები განახორციელა. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი სვეტლანა ტიხონოვსკაიამ გასულ კვირას ლუკაშენკოს ულტიმატუმი წაუყენა — მშვიდობიანად გადაებარებინა ხელისუფლება, რისთვისაც ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა. თავად ლუკაშენკო მსგავს განცხადებებს უკვე ნაკლებად აქცევს ყურადღებას, განაგრძობს შეხვედრებს მოსახლეობასთან. გადაწყვეტილი აქვს ჩაკეტოს საზღვრები პოლონეთთან და ლიტვასთან ამავე დროს მათ უარი უთხრას ტრანზიტულ გადაზიდვების განხორციელებაზე რითაც ბალტიისპირეთის ქვეყნებს დიდ ეკონომიკურ პრობლემებს შეუქმნის. ბელორუსის წინააღმდეგ სამხედრო ჩარევა სხვა ქვეყნებიდან უკვე გამორიცხა, რაც შოიგუს ვიზიტმაც დაადასტურა. თუმცა, სამყაროში ბევრი მოულოდნელობა ხდება. ჩვენთვის მთავარია თავიდან ავიცილოთ ბელორუსის მსგავსი არეულობა არჩევნების შემდეგ, რაზეც ოცნებობს ე.წ. ოპოზიცია.

**გია ბურდული**

551 71 27 07

# მაფიოზები

## ვინ დაამყარებს წესრიგს საამფთიაქო სფეროში, სადაც წამლების ფასი, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, 200–300 %-ით მაღალია...





პოლიტიკოს-„აფთიაქარმა“, დმანისის „მარადმწვანე“ მაჟორიტარმა კახა ოქრიაშვილმა „ქართული ოცნებიდან“ კუდის ამოძუების შემდეგ, თავის მსგავს „დამოუკიდებელ-წარმატებულ“ ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელთან ერთად პარტია „პროგრესი და თავისუფლება“ კი დააარსა, მაგრამ „დამოუკიდებლობას“ დიდხანს ვერ გაუძლო და პარტიასთან ერთად მშობლიურ წიაღს, ანუ ნაცმოძრაობას დაუბრუნდა. არანაირ უხერხულობას არ მიჩენს არც ხუთიანი და არც სხვანაირი ნომერი, მე ნომერი არ ვარ, მე ვარ კახა ოქრიაშვილი, მე ვარ ბოლო და ყველაზე მაგარი მაჟორიტარიო, გვამცნო დმანისელმა „ფრთაფარფატა“ პოლიტიკოსმა.

ახლა ძველი გუნდი კვლავ მისაღები ყოფილა ამ „მრავალპროფილიანი“ დმანისელთა „რჩეულისთვის“, ნაცმოძრაობას ისეთი გეგმები აქვს, ჩემსას ემთხვევა, აღიარა მიშამ და ახლა ბოდიშებს იხდისო. რა აღიარა და რაზე მოიხადა ბოდიში „დიდო“ პოლიტიკოსო, როდის თქვა ამ ბოროტმა კლოუნმა და ვერ გავიგეთ, დავაშავე და ვინანიებო? ოქრიაშვილის „მიმომფრენ“ პერსონას არც დავუთმობდით დროს, ისიც რომ არ გახლდეთ ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი წინამდებარე



სტატიის თემისა, რომელიც საამფთიაქო ბიზნესს, მედიკამენტების კატასტროფულ ფასებს, მონოპოლისტებსა და სავარაუდო კარტელურ გარიგებებს ეხება. ამ კაცს, რომელიც ცხრაპირ ტყავს აძრობს სხვა „ბრენდ-აფთიაქარებთან“ ერთად მოსახლეობას, თურმე ისეთი გეგმები აქვს, თან ნაცებთან „დამთხვეული“, რომელიც აგვაშენებს და დაგვამშვენებს.

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში რესპოდენტი აცხადებდა, ოქრიაშვილის „პეესპე“, მედიკამენტების მარტო რეალიზატორი კი არა, იმპორტიორიცაა და 70%-იანი დანამატით ახდენენ შემოტანილი წამლების გაყიდვასო. ჩვენც ვვარაუდობდით, რომ ეს ფრიად მოკრძალებული ციფრი იყო, სინამდვილეში ლამის 700–800%-საც აღწევს ეს დანამატი. თურმე ტყუილად არ ამბობს ხალხი, ათმაგ ფასებში ყიდიან აფთიაქები ხშირ შემთხვევაში, საეჭვო ხარისხისა და წარმომავლობის მედიკამენტებსო.

როგორც მითხრეს, ჩინეთიდან შემოტანილი მედიკამენტების ნაწილს ფქვავენ, დიდი დოზით უმატებენ ზემოაღნიშნულ კომპონენტებს, შეფუთავენ ევროპულ „სამოსში“ და ასე გვასაღებენ ევროპულზე უფრო ძვირ ფასებშიო. საერთოდაც, საქართველოზე გაცილებით იაფია მედიკამენტები ჩვენს სამეზობლოში, იქ კაპიკებში ყიდულობენ აქაური ვაი-იმპორტიორები და ჩვენზე ცეცხლის ფასად ყიდიანო. „ავ ენებს“ თუ დავუჯერებთ, კოლექტიური ნაცებისა და მათი სატელიტების მიერ გმირად გამოცხადებული ვაჟა-ექიმიც (გაფრინდაშვილი) ამ ბიზნესით იყო დაკავებული. ოკუპირებულ ახალგორსა და ცხინვალის რეგიონს იმიტომაც სტუმრობდა ასე ხშირად, რომ იქ მიზერულ ფასად ნაყიდი სხვა და სხვა დასახელები მედიკამენტების აქეთ „იმპორტირებას“ ეწეოდაო. წამლის ჩინური „იმპორტით“ რომ დავინტერესდი, თუ ასეთ მაქინაციებს აქვს ადგილი, ჩვენი ჯანდაცვის სამინისტრო რატომ არ რეაგირებს-თქო, გია თვალავაძესთან ჰქონდათ „გაიასნებული“ და მწვანე შუქიც ანთებულიო. გია თვალავაძეში, რესპონდენტები ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოს უფროსს გულისხმობდნენ.

რეგულირების სააგენტოს უფროსი ე.წ. საამფთიაქო ნარკომანიის სფეროში ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო ბრუნვის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს. თვალავაძესთან ერთად კიდევ ხუთი პირი დააკავეს. გამოძიება აცხადებდა, რომ თბილისსა და გორში მდებარე 15 აფთიაქში, ფსიქოტროპული საშუალებების რეალიზაცია უკანონოდ ხდებოდა, რაზეც რეგულირების სააგენტოს უფროსი რეაგირებას არ ახდენდა. სხვათა შორის, ამ საქმეზე ჯამში ოცი პირი მისცეს სს-ის პასუხისგებაში. დანარჩენებს ჯგუფურად ჩადენილ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბრალდება ჰქონდათ წარდგენილი. მათ მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და ფსიქოტროპული საშუალებების ურეცეპტოდ რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა, ჯამში 4.094.709 ლარი შეადგინაო.

ისე, საინტერესოა, იმ 15 მხილებულ აფთიაქში, ბრენდ-„გრანდების“ წარმომადგენლებიც თუ შედიოდნენ.

იმის საილუსტრაციოდ, რომ სამეზობლოში მედიკამენტებზე ყველაზე მაღალი ფასები საქართველოშია, გასული წლის შემოდგომაზე, კახა კუკავას „თავისუფალმა საქართველომ“ თურქეთიდან მართლაც გაცილებით დაბალ ფასებში შემოიტანა წამლები.

მცირე აფთიაქებს ამ ხელსაყრელ „მიმწოდებელთან“ თანამშრომლობის სურვილი გამოუთქვამთ, რაც ეჭვს არც იწვევს, ამ აფთიაქების საშუალებით მოვახდენთ რეალიზაციას, ისინი იაფად გაყიდიან, შემდეგ სხვა დიდი კომპანიები იძულებული იქნებიან ფასები დააკლონ, ბაზარზე იაფიანი მედიკამენტები მასობრივად ხელმისაწვდომი რომ იქნება, „ავერსსა“ და „პსპ-საც“ მოუწევთ ფასების დაგდებაო.

კუკავა აცხადებდა, განაცხადი შევიტანეთ წამლის სააგენტოში იმპორტთან დაკავშირებით, როდესაც ნებართვას მივიღებთ, შემოტანა მარტივად მოხდებაო.

წამლის სააგენტოს შეფი ზაალ კაპანაძე გახლავთ, რომელიც 2019 წლის 13 დეკემბრიდან იკავებს ამ თანამდებობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „თავისუფალმა საქართველომ“ რამდენიმე დასახელების პრეპარატი შემოიტანა თურქეთიდან და გამოაქვეყნა თურქეთის და შესაბამისად საქართველოს ფასები.

ეს ის მედიკამენტებია, რომლებსაც რეცეპტი არ სჭირდება, წნევის, გულ-სისხლძარღვთა დაავადების სამკურნალო პრეპარატებია, ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, იანუმენტი — დიაბეტის სამკურნალო პრეპარატების დამატებაა და ა.შ.

ამ იმპორტ-რეალიზაციიდან მოკლე ხანში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა „თავისუფალი საქართველოს“ წინააღმდეგ იაფი მედიკამენტების კამპანიასთან დაკავშირებით, მოკვლევა დაიწყო. შესაშური ოპერატიულობაა, ნეტა ყოველთვის ასე მყისიერად რეაგირებდეს ხელისუფლება მართლაც სერიოზულ, უხეშ დარღვევებზე. კახა კუკავას სამი საათის განმავლობაში კითხავდნენ, მოკვლევა სს-ის კოდექსის ორი მუხლით დაიწყეს, პირველი — იაფი მედიკამენტების პროგრამით ამომრჩევლის მოსყიდვა, მეორე — უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია. კუკავაც აცხადებდა, მედიკამენტების ფასების სხვაობა თურქეთსა და საქართველოს შორის, დაახლოებით 70%-იაო, რომელი 70 პატივცემულო, ზოგ შემთხვევაში ლამის 1000%-ს ურტყამს. კუკავას თქმით, აუდიტის არცერთი ბრალდება რეალობას არ შეესაბამებოდა, რადგან რეალურად ეს მედიკამენტები საბაზროზე დაბალ ფასად არ გაუყიდიათ.

წლის მიწურულს პრესაში „თავისუფალი საქართველოს“ სხვა წარმომადგენლის ინტერვიუც გამოქვეყნდა, დამთავრდა ავერსისა და პსპ-ს ზღაპრები, წამლების მაღალ ფასებთან დაკავშირებითო. მათ მაშინ მედიკამენტები ქალაქ ხოფაში შეიძინეს და შემოიტანეს, თავადვე დარწმუნდებით, რომ საქართველოსთან შედარებით ძალიან იაფი ღირდა იქ მედიკამენტები. საქმე იმაშია, რომ თურმე ხოფაში თურქეთის სხვა ქალაქებთან შედარებით, ისედაც ძვირი ყოფილა წამლები. ეს მოგვიანებით გაუგიათ პოლიტიკოს-„იმპორტიორებს“, ამიტომ ვფიქრობთ, უფრო დაბალ ფასად მოვახერხებთ შემოტანას, უკვე დავრეგისტრირდით წამლის შემომტან სააგენტოდო. ბავშვთა კვების პროდუქტების ხელსაყრელ ფასად შემოტანაც შეიძლება, რადგან ჩვენთან ბევრად უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში, ჩვენ არ გვაქვს ამბიცია, რომ მთელს საქართველოს მოვამარაგებთ, ჩვენი მიზანია წამალი გაცილებით იაფ ფასად იყიდებოდეს. რასაც გვეუბნებიან ავერსსა და პსპ-ში, რომ საზღვარზე იბეგრება და ა.შ. დაძველდა. ჩვენ გვაქვს მოლაპარაკება არაბრენდ, ე.წ. უბნის აფთიაქებთან, ისინი თანახმა არიან 15–20%-იანი წანამატით გაყიდონ წამლები. ისინი კომერციულ საქმიანობას ეწევიან და რა თქმა უნდა, პროცენტი უნდა დაადონ, ოღონდ არა 600%, სრულიად საკმარისი იქნება 20% და ესეც ბევრად დაბალი ფასი გამოვა ბრენდ აფთიაქებთან შედარებით. შესაბამისად მონოპოლისტ აფთიაქებს მოუწევთ ფასის დაგდება. წამლის სააგენტო ბიუროკრატიული ორგანო გახდა, მას არ აქვს გავლენა ფასების რეგულაციაზე, რადგან არ სურთ რომ ჰქონდეთო.




ხელისუფლებას აქვს ამბიცია, რომ აწარმოოთ თუ შემოიტანოთ იაფფასიანი წამლები. საქართველოში, ყოველ შემთხვევაში დედაქალაქში, ლამის ყველა მეორე აფთიაქში ამზადებდნენ წამლებს, რომლებიც ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა იმპორტირებულს, განა რა გახდა ამ მრეწველობის აღდგენა? გოთუას ქუჩაზე მდებარე ე.წ. ბაქტერიოფაგს და მის წარმოებულ პრეპარატებს ლამის მსოფლიო იცნობდა, მაოხრებელი ნაცრეჟიმის თუ მისი წინამორბედის მსახვრალი ხელი ამ დიდი ტრადიციების მქონე ორგანიზაციასაც შეეხო, მაგრამ ვითომ ასე ძნელია მისი და საერთოდ, დარგის აღდგენა. ძნელია არ დაეთანხმო „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლებს, რომ მონოპოლისტ აფთიაქებს სულ ჰყავთ პარლამენტში თავისი წარმომადგენელი, ვინმესთვის საიდუმლოა, რომ „პსპ“ კახა ოქრიაშვილის საკუთრებააო. მთელს მსოფლიოში არსად ხდება, რომ ერთი და იგივე კომპანია იყოს საავადმყოფო, წამლის გამომწერი, მერე წამლის მიმწოდებელი და ბოლოს დამზღვევიც. როცა ავადმყოფი მთლიანად მის ხელშია ექიმით დაწყებული, წამლით გაგრძელებული და დაზღვევით დამთავრებული, ხოლო სახელმწიფო არ ერევა ამ საქმიანობაში, საიდან იქნება კონკურენცია. ამიტომ მივიღეთ ეს 500–600%-ით გაზრდილი ფასებიო. ვიმეორებთ, ეს აქ მარტო პსპ-ზე არ არის საუბარი, სხვა მონოპოლისტსაც ეხება. რა ხარისხის სამედიცინო მომსახურეობას უწევენ და რა ხარისხის წამალს აწვდიან პაციენტებს, ეს კიდევ საკითხავია.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

უმადურობის სინდრომი

# თუ იმ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა, თქვენ რომ უკანალებში ცოცხებს გიკეთებდნენ, ქოცობას ნიშნავს, დაე, ვიყო-მეთქი!



ამას წინებზე იმათ წრეში მოვხვდი, ბიძინა ივანიშვილმა 2012-სა წელსა ტრაკებიდან ცოცხები რომ გამოაძრო და უთხრა: აჰა, იარეთ, იცხოვრეთ, ამიერიდან ხელსაც ვერავინ გახლებთო.

აქეთური ვთქვით, იქეთური ვთქვით, ამ მთისაზე ვილაპარაკეთ, იმ მთისაზე ვილაპარაკეთ, პოლიტიკაზეც ვცადეთ... თუმცა აქ უკვე გავჭედეთ, იმათ დამცინეს: შენა, ბიჭო, ქოცი ხარო?

ჰი, ჰი, ჰი, არა, მართლა ქოცი ხარო?

როგორ გითხრათ, პარტიის წევრი არ ვარ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს და მის „სასტავს" მხარს ვუჭერ-მეთქი.

აუუუ, შენ მართლა ქოცი ყოფილხარო.

თუ იმ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა, თქვენ რომ უკანალებში ცოცხებს გიკეთებდნენ, ქოცობას ნიშნავს, დაე, ვიყო-მეთქი!

ჰი, ჰი, ჰი, ჰა, ჰა, ჰა, ეგ იგივე ქოცობააო... შენ როგორ ფიქრობ, „ქართული ოცნება" გაიმარჯვებსო?

ასიანი-მეთქი!

რა ვიცითო, მხრები აიჩეჩეს, ჩვენ ეჭვი გვეპარებაო, ახალი ძალა უნდა მოვიდესო, ძმაოოო!

ვინ-მეთქი?

რავი, გამოჩნდებაო, ერთმანეთს გადახედეს.

ნაცები-მეთქი?

აუ, რას ამბობო, ეგრე არ იქნებაო, მგონი გააჟრიალათ კიდევაც.

მეწყინა... თან მიშა გამახსენდა, სააკაშვილი, გულში წავეკამათე: მიხო, ზოგთან მართალი ყოფილხარ, შე ახვარო, ზოგისთვის მადლი ყოფილა უკანალში ცოცხის გაკეთება, შენ უფრო კარგად გცოდნია ჩათლახების ამოცნობა!

ქალაქური ლექსიკონის თანახმად, სიტყვა „ჩათლახი" ნიშნავს უზნეოს, გათახსირებულს, პედერასტს, გაცვეთილს და ასე შემდეგ. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ: მე ყველა დაზარალებულთან არ მქავს პრეტენზია, სააკაშვილის რეჟიმის დროს ციხეში მართლაც მოხვდნენ ვაჟკაცები, რომლებმაც დიდი უბედურება გამოიარეს, მაგრამ როგორც ჩანს, იქაც იყვნენ „შეპარულები", რომლებისთვისაც სულერთია, ცოცხს გაუკეთებენ, „დუბინკას" თუ გრძლად დახვეულ გაზეთ „პრავდას". უმადური უმადურია, გინდათ ღობის იქით დააბით მკუანა ვირივით, გინდათ – ღობის აქეთ!

მე კიდევ მეგონა, ეს ჭირისგან დახსნილი ადამიანები ყოველ დილით სანთლებს თუ არ დაუნთებდნენ ბიძინა ივანიშვილს, ზემოთ მაინც აიხედავდნენ და წყლის დალევისას მადლობას შესწირავდნენ. არა, პირიქით, ერთმა სამდურავი გამიწია, მეო, რათ უნდა მივცე ხმა „ქართულ ოცნებას", რა გამიკეთეს, სახრავი მომცეს თუ საფქვავიო?

მე ისევე გამოვიარე ის შავ-ბნელი 9 წელიწადი, როგორც გამოიარა მთელმა საქართველომ. თუმცა არც ციხე შემხებია, არც ცოცხი, არც „დუბინკა", როგორც ჟურნალისტი, ვებრძოდი უსამართლობას და იმ სიბინძურეს, რაც ზედა ეშელონებში ტრიალებდა. ვერ ვიტყვი, ყველაზე მეტი წვლილი შევიტანე იმ რეჟიმის გადაშენებაში-მეთქი, მაგრამ არც სხვაზე ნაკლები შემიტანია. რაც მთავარია, ვექომაგებოდი ციხეებში გამოკეტილ და დამცირებულ ადამიანებს, მირეკავდნენ, მიყვებოდნენ, მათი ოჯახების წევრები მხვდებოდნენ, ისინიც მიყვებოდნენ, ვბეჭდავდი, საკუთარ თავსა თუ ოჯახს საშიშროების წინაშე ვაყენებდი და ამით არაერთს სიცოცხლე შევუნარჩუნე. ყველაზე შთამბეჭდავად მაინც ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძის ამბავი მახსენდება... ერთ დღესაც ნაცნობი პიროვნება მირეკავს, ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაქვს, ალექსანდროვის პარკში უნდა მოხვიდეო. მივედი, ყურში ჩამჩურჩულა, დემეტრაძეს ციხეში თავი უნდა მოაკვლევინონ, საწოლზე „ბრიტვაც" კი დაუდესო. გარდა ამისა, თურმე ბარათიც გაუუქმეს და ბოლო დღეებში საჭმელსაც კი აღარ აძლევდნენ. წამოვედი, ავტეხე ერთი ამბავი, ადვოკატი ლალი აფციაური შევარდა ციხეში, გადაამოწმა, ყველაფერი სიმართლე აღმოჩნდა, იმანაც თავის მხრივ გაასკანდალა და ვუშველეთ. ამის გაკეთება მაშინ არ იყო იოლი... მეტიც, ძალიან სახიფათო იყო, მაგრამ როცა ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია, ამაზე ვერ იფიქრებ.

რა სამდურავიც ზემოთ დავწერე, ეს დემეტრაძეს არ ეხება, უბრალოდ იმჟამინდელი საფრთხის აღწერისთვის მაგალითად მოვიტანე და კიდევ იმისთვის, რომ მე და ჩემნაირები არავისი დასაცინები არ გახლავართ. ჩვენ პატივს ვცემთ და მხარს ვუჭერთ იმ ადამიანს, რომელმაც: პირველი — ამ ქვეყანას მოაშორა ავადმყოფები, ჯიბეებში ნარკოტიკების ჩამდებები, ქუჩებში ბიჭების ჩამხოცავები, გამაუპატიურებლები, ბიზნესისა და ქონების წამრთმევები! მეორე — რომელმაც შევარდნაძის მთავრობის წასვლისთანავე დაიწყო ქვეყნის მშენებლობა, ახალი ხელისუფლების წევრებს დაუნიშნა ხელფასები და უთხრა, არ მოიპაროთო. ჩააცვა ჯარს, პოლიციას, აჭამა და შეაიარაღა. ისიც კი არ თქვა, ამ ყველაფერს მე ვაკეთებო, სოროსს გადააბრალა. დღეს ხშირად ამბობენ, მიშამ საქართველო ჯურღმულიდან ამოიყვანაო, გაანათაო. არა, საქართველო ჯურღმულიდან ბიძინა ივანიშვილმა ამოიყვანა და მიშამ მიიწერა. შენდებოდა გზები, ხიდები, სკვერები, ავტობანები, ყველგან ჩანდა სააკაშვილი, წითელ ლენტებს ჭრიდა სააკაშვილი, მაგრამ ეს იყო მხამხარეული ერთი კაცის ჯიბიდან!

ამიხსნას ვინმემ, ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა სამარცხვინოა და მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერა საამაყო? მე პირადად მამალი „ნაციონალებისგან" არ მწინს, ასეთი მიდგომა საწყენია მათგან, ვისაც ჩვენ უკანალიდან ცოცხი გამოვაძრეთ.

ეგრე არ არი, თაყაო, შენ რომ მამული გაჰყავო... ეგრე არ არი, ბიჭებო (ზოგიერთნო), ძალიანაც ნუ გაიფხორებით, ჯერ კიდევ გვახსოვს, როგორ იყავით მოკუნტულები ამა ქვეყნისა ძლიერთა წინაშე.

„ქართული ოცნება" გაიმარჯვებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მე ასე მსურს, უბრალოდ იმ სიბინძურის დაბრუნება შეუძლებელია.

მადლობა ყურადღებისთვის!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



# „ბოროტსა სძლია კეთილმან"...



მამუკა ნოზაძე

მივმართავ შალვა ნათელაშვილს, გუბაზ სანიკიძეს და მათი თამადობით ყველა ბოროტ, შურიანს, ბოღმიან და დაუნახავ ადამიანს, ვინც ცუდად იხსენებს ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახს. თქვენი ბოროტება უკვე ზღვარს სცილდება, შალვა ნათელაშვილს ვინ მისცა იმის უფლება, რომ შეურაცხყოფა მიაყენოს ჩვენს ღირსშესანიშნავ კინო-თეატრის მსახიობებს, მაგალითად, ბატონ კახი კავსაძეს?

იყო გაჭირვების მძიმე პერიოდი, როდესაც უჭირდა ხალხს. განსაკუთრებით ძალიან გაუჭირდა ჩვენს ინტილიგენციას. რომ არა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, არ ვიცი, ამ ადამიანებს რა ეშველებოდათ. ფაქტობრივად, პურის ფული აღარ ჰქონდათ. ესენი იყვნენ: სპორტსმენები, მწერლები, პოეტები, მომღერლები, კინო-თეატრის მსახიობები და სხვები. ბატონმა ბიძინამ შეიფარა ეს ხალხი და სოლიდური ყოველთვიური თანხა დაუნიშნა.



ამ ხალხს არ აქვს იმის უფლება, რომ მადლიერება გამოხატონ ბატონი ბიძინას მიმართ!?

თუ შალვა ნათელაშვილს უნდა ჰკითხონ მადლიერება გამოხატონ თუ არა?

როცა ამ ხალხს უჭირდა, გაგხსენებიათ ეს ხალხი რომელიმეს?

მივმართავ შალვა ნათელაშვილს — ეს ყველაფერი, რაც სტატიაში წერია, ხომ ფაქტია, მე ხომ არ მომიგონია?

ანდა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რას უნდა მოელოდეს ბატონო ბიძინა უსინათლო და გაჭირვებული ადამიანებისგან?

აი, ესაა ქველმოქმედება და ადამიანობა და არა ის, როგორც იქცევიან შალვა ნათელაშვილი და სხვები.

ვიღაც-ვიღაცები ცუდად იხსენიებენ წარმატებულ მეცენატს და ბიზნესმენს ბატონ ვალერი გელაშვილს. აჩემებული აქვთ, რომ ბატონმა ვალერიმ ვენესუელაში კუნძული იყიდა. იმდენად ხართ ბოროტი და ბოღმიანი, რომ იმასაც ვერ ხვდებით, კუნძული კი არ იყიდა, კუნძულზე მიწა იყიდა. თქვენ რატომ იბოღმებით, თქვენ ხომ არ წაგართვათ რამე. თუ რამე შეიძინა, თავისი შრომით შეიძინა. მამას და ბაბუას მისთვის არაფერი დაუტოვებია. რაც არ ჰქონდათ, რას დაუტოვებდნენ. ბავშვი იყო, მამა რომ გარდაეცვალა, ობლად გაიზარდა. ბატონ ვალერის ბევრი სიკეთე და ქველმოქმედება აქვს გაკეთებული. თუ გნებავთ, ჩამოდით ხაშურში და მე გაჩვენებთ, რა აქვს გაკეთებული ხაშურში ბატონ ვალერი გელაშვილს.

მამის ლანძღვა არ გეყოთ და ბერა ივანიშვილსაც რატომ სწამებთ ცილს, თითქოს ყველა დამნაშავეს ის მფარველობს.

ბერა ივანიშვილი არის წესიერი და პატიოსანი ადამიანი. მას არანაირი კავშირი არ აქვს კრიმინალებთან. ოქროს ასოებით შევა ისტორიაში. სწორედ ეგ შურთ ბოროტ ხალხს და ამიტომ ამბობენ თქვენზე ცუდს. უფალი გასცემს პასუხს ყველა ბოროტ ადამიანს, ყველა დაისჯება..

მე შშმ პირი ვარ. სიარული არ შემიძლია, ვზივარ ინვალიდის ეტლში. ჩემი უმცროსი ძმაც შშმ პირია. იმასაც არ შეუძლია სიარული. ისიც ზის ინვალიდის ეტლში. დიაგნოზი გვაქვს ერთი — სპინალური ამიოტროფია. სწავლა- განათლება მეც და ჩემმა ძმამც სახლში მივიღეთ. სახლში დადიოდნენ მასწავლებლები. უნივერსიტეტი დაუსწრებლად დავამთავრეთ — ბიზნესის სამართალმცოდნეობა, იურიდიული ფაკულტეტი...



უამრავი სიმწარე და ტკივილი გადავიტანეთ ცხოვრებაში, მაგრამ სიკეთის დანახვის და დაფასების უნარი არ დაგვიკარგავს, ადამიანების მიმართ სიყვარულის გრძნობა არ გაგვნელებია, არ გავბოროტებულვართ.

თქვენ რა გჭირთ, ბატონო შალვა, ბატონო გუბაზ, ასე რამ დაგბოღმათ, ასე რამ გაგაბოროტათ, საიდან ამდენი შხამი და გესლი, ამდენი დაუნდობლობა და სისასტიკე?

**მამუკა ნოზაძე**
ხაშური
555 10 85 12





# სიკვდილის დამფინანსებლები







მონდიალისტური საკითხების სპეციალისტი პიერ ფაიმან დე ვილმარესტი ამტკიცებდა, რომ ბრიტანელი და ამერიკელი ეკონომისტი, ისტორიკოსი, მკვლევარი, პროფესორი და მწერალი ენტონი სირილ სატონი იყო ერთადერთი, ვინც შეისწავლა კონტრაქტები რომლებითაც შეეძლოთ ეკონომიკურად არსებობა და გადარჩენა ნაცისტურ და საბჭოთა ტოტალიტარიზმებს 1917 წელს, სატონი თავის კვლევაში ფაქტებით გვარწმუნებს, რომ რუსეთში რევოლუციის დაწყებამდე, განსაკუთრებით უოლ-სტრიტი დაწესებულებებმა შეძლეს არაპირდაპირ დაწყება ოპერაციებისა რომელთა. მიზანიც იყო ამ რევოლუციის მოწყობა. ეს შეთანხმებული იყო აშშ-ს მაშინდელ პრეზიდენტ ვუდრო ვილსონთან. რომელმაც თავშესაფარი მისცა ლევ ტროცკის. ვილსონმა შესანიშნავად იცოდა. რომ ტროცკის უნდოდა რუსეთის იმპერის დამხობა. ავტორი ასევე აღნიშნავს რომ სხვა ავტორების ნაშრომების თანახმად, ლენინს ფინანსურად მხარს უჭერდა გერმანიის მთავრობა და ბოლშევიკების და მენშევიკების პარტიები დაფინანსებული და ორგანიზებულები იყო გერმანიის მთავრობის მიერ.

ბოლშევიკების დაფინანსება ასევე დაკავშირებული იყო ამერიკული წითელი ჯვრის მისიასთან რუსეთში, ამ მისიაში, რომელსაც უნდა ჰქონოდა ჰუმანიტარული მიზნები, იყვნენ უოლ-სთრიტის ყველა დიდი ორგანიზაცია-დაწესებულებების, წარმომადგენლები. ამ მისიას მეთალყურეობას უწევდა ნიუ იორკის ფედერალური რეზერვის პრეზიდენტი უილიამ ბოიზ ტომპსონი. მას ეკუთვნის ბოლშევიკური რევოლუციის პროპაგანდის პროგრამის შექმნა. მისი მიზანი იყო, რუსეთს ეომა გერმანიასთან რადგან, გერმანიის ფირმები არ შესულიყვნენ რუსეთის ბაზარზე რაც შეავიწროებდა ამერიკულ ფირმებს. ამიტომ 1918 წელს გერმანიაში აგზავნიდნენ რუს ბოლშევიკებს და პროპაგანდისტებს. სატონი ამბობს რომ უოლ -სტრიტის ორგანიზაციებს უნდოდათ რუსეთის კომერციულად ექსპლუატაცია და ამიტომ ისინი ცდილობდნენ რუსეთის ბაზარზე დამკვიდრებას განსაკუთრებით ამერიკული ნაციონალური კორპორაციების მეშვეობით. ეს კორპორაცია კი აერთიანებდა პირველ რიგში მორგანის, ნიუ- იორკის ნაციონალური ბანკის პრეზიდენტ ჯეიმს სტილმანის და როკფელერის ინტერესებს. ლენინმა 1921 წლის 10 მარტს რუსეთის კომპარტიის მეათე ყრილობის წინ თქვა რომ კატასტროფულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის ეს დაფინანსებები აუცილებელია, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ჩეკისტური სისტემა ვერ იარსებებს მათ გარეშე. ავტორი ფაქტებით აჩვენებს რომ განსაკუთრებით ამერიკული ეკონომიკური და პოლიტიკური ხელისუფლება გააზრებულად. ეხმარებოდა. ბოლშევიკურ რევოლუციას სატონი ამბობს. რომ ლევ ტროცკი. საბოლოოდ იყო უოლ სტრიტის ზოგი ორგანიზაციის ქმნილება და რომ მათი მხარდაჭერის გარეშე ლევ ტროცკი ვერ შეასრულებდა იმ როლს რომელიც მან შეასრულა ბოლშევიკურ რევოლუციაში. ლენინიც ვერ შეასრულებდა თავის როლს გერმანიის მთავრობის დახმარების, გარეშე. ამერიკელებს და გერმანელებს უნდოდათ გიგანტური რუსული ბაზრის გადაქცევა დიდი ძალაუფლების მქონე ამერიკელი ფინანსისტების და ამერიკული კორპორაციების მიერ გაკონტროლებულ ტექნიკურ კოლონიად და ამიტომ ისინი ფაქტიურად ყიდულობდნენ ბოლშევიკებს ამ მიზნის მისაღწევად. ამერიკელ ფინანსისტებს და ამერიკულ კორპორაციებს სჭირდებოდათ რუსეთში ცენტრალიზებული და ინტერნაციონალური ხელისუფლების დამყარება რათა უფრო ადვილი ყოფილიყო ლოკალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკება, განსაკუთრებით ინტერნაციონალისტი ტროცკის მეშვეობით ამან გზა გაუხსნა კომუნიზმს..., აშშ-ში კონსპირაციონიზმის ისტორიული ფიგურა, ისტორიკოსი ბერნარდ ბრუნეტო, სატონთან ერთად 1970-ანი წლებიდან დაუღალავად ამხელდა და გმობდა ამერიკული საბანკო ისტებლიშმენტის მონდიალისტურ გეგმებს და ამ ისტებლიშმენტს ბრალად სდებდა რომ მას უნდოდა მომავალში რუსეთის და გერმანიის უკეთესად გაკონტროლება და ამიტომ მან ხელი შეწყო ბოლშევიკების და ჰიტლერის გაბატონებას. რატომ იყო 1917 წლის ამერიკული წითელი ჯვრის მისიაში რუსეთში მეტი ბიზნესმენი ვიდრე ექიმი? სატონი, ჯაშუშური რომანის მსგავს თავის გამოკვლევაში ადგენს ამერიკელი კაპიტალისტების უეჭველ ისტორიულ კავშირებს რუს ბოლშევიკებთან და კომუნისტებთან. ავტორმა შეისწავლა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საქმეები, მთავარი ფიგურების პერსონალური არქივები, ბიოგრაფიები პრესაში გამოქვეყნებული წერილები და კლასიკურ ისტორიკოსთა წიგნები. სატონმა გაამჟღავნა როლი, რომელსაც ასრულებდნენ მორგანის ჯგუფის ბანკების ხელმძღვანელები ბოლშევიკური ოქროს აშშ-ში არალეგალურად ჩატანაში, უოლ-სტრიტის ჩარევა რათა განთავისუფლებული ყოფილიყო რევოლუციონერი ლევ ტროცკი რომლის მიზანიც სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა იყო... კვლევაში უტყუარი ფაქტებით დასტურდება დიდი ამერიკული საწარმოების გარიგება ბოლშევიკებთან რუსეთის უზარმაზარი ბაზრის დაპყრობის მიზნით. თხუთმეტი წლის შემდეგ კი აშშ-მ ოფიციალურად აღიარა საბჭოთა მთავრობა. თავისუფალი მეწარმეობის მქადაგებელი პირველი პლანის ბიზნესმენები ფარულად, მაგრამ აქტიურად უჭერდნენ მხარს კომუნიზმს. მათი მიზანი გახლდათ გამდიდრება ნებისმიერ ფასად. ამავე მკვლევარის მტკიცებით უოლ სტრიტის ბანკებმა და დიდმა ჩრდილო-ამერიკულმა კომპანიებმა ხელი შეუწყვეს ჰიტლერის ხელისუფლებაში მისვლას. ისინი აფინანსებდნენ ნაცისტურ გერმანიას და საქმიანობდნენ მასთან ერთად.კარგად დამალულ კვალს გაყოლილმა, საბუთების და უეჭველ მტკიცებულებათა მკვლევარმა სატონმა აჩვენა, თუ რა როლს ასრულებდნენ ამაში და რა მოგებას იღებდნენ ამით მორგანები, როკფელერები, ძმები ვარბურგები თუ ფორდი, რომლებიც უშუალოდ ან მათი ფირმების მეშვეობით აფინანსებდნენ ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელ და ყველაზე დამანგრეველი ომის სამზადისს. მესამე რაიხის მომმარაგებელი ფორდი, ამერიკული ჯგუფი იყენებდა პატიმრებს და დეპორტირებულებს. ფორდს მთელი ომის მანძილზე ჰქონდა კომფორტული ურთიერთობები ნაცისტურ გერმანიასთან, ის ომის ტყვეებს და დეპორტირებულებს ამუშავებდა თავის კიოლნის ქარხანაში საიდანაც იღებდა დიდ მოგებას. ეს დაადასტურა ნიუ იორკელმა ადვოკატმა მელვინ ვაისმა რომლისაც ძალიან ეშინიათ დიდი ამერიკული საზოგადოებების ხელმძღვანელებს. ის ახდენდა უკმაყოფილო აქციონერების მობილიზაციას, რათა დაეწერა კოლექტიური საჩივრები ინდუსტრიის და კომერციის გიგანტების წინაარმდეგ.




მელვინ ვაისმა სასამართლოში წამოიწყო მისი თქმით „ ნამდვილად უპრეცენდენტო“ საქმე ის ბრალს დებს ლამის ამერიკის სიმბოლოდ ქცეულ „ფორდ მოტორსს“ შვეიცარული ბანკების და გერმანული ინდუსტრიის დიდ სახელთა გვერდით ის მოითხოვს ზარალის ანაზღაურებას ათასობით ადამიანისთვის რომლებსაც ფორდის გერმანულ ქარხანაში იძულებით ამუშავებდნენ ნაცისტების დროს. „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ვაისი ამბობს, რომ ჰიტლერის ხელისუფლებაში მისვლისას ფორდის და **GM**-ს ფილიალებს ჰქონდათ გერმანიის ავტომობილის ბაზრის სამოცდაათ პროცენტზე მეტი. ისინი გახდნენ ჯარების გადაყვანისთვის ავტომობილების მთავარი მიმწოდებლები ვერმახტისთვის. „ფორდი ამტკიცებს რომ ის სულ არ აკონტროლებდა თავის გერმანულ ფილიალს, მაგრამ ეს აბსურდია ამბობს ვაისი. **Ford Werke A.G.** არასოდეს ყოფილა ნაციონალიზებული, მან შეინარჩუნა წილების ორმოცდათორმეტი პროცენტი „ ომის შემდეგ კი მოკავშირეებმა ფორდს აუნაზღაურეს დაბომბვების დროს მიყენებული ზარალი, კიოლნის ქარხნის მოგების მისი წილი 1940–1945 წლების პერიოდისთვის.“ამ დროში კი იქ, ფაქტიურად მონებად მუშაობდნენ ფრანგი, უკრაინელი, ბელგიელი, იტალიელი, რუსი ტყვეები და ბუხენვალდის ებრაელი პატიმრები. დირექტორი კი იყო ნაცისტი. **Ford Werke A.G.**-ს გერმანელი დირექტორი რობერტ შმიდტი.

ჰიტლერის დიდი მეკავშირე იყო ფორდი, რომელზეც თქვა: „ის იყო ჩემი ერთ-ერთი მთავარი შთამაგონებელი.“ 1938 წელს. ჰიტლერმა ფორდს მისცა მესამე რაიხის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო, ფორდმა კი, 1939 წელს, დაბადების დღისთვის, ჰიტლერს 35000 რეიხსმარკსის ღირებულების საჩუქარი გადასცა.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# დაევალოს მიხოს – წავიდეს ნა ხ.ი!

ამ დღეებში სრულიად საქართველოს, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე სიცილის ტალღამ გადაუარა. მიზეზი ბევრი რამ იყო, მაგრამ აქედან ორი უფრო გახლდათ გასაჭაჭი: პირველი — ამ ქვეყნიდან გაქსუებულმა მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი დედა, გიული ალასანია ზუგდიდში გააგზავნა მაჟორიტარობის კანდიდატად; მეორე — იგივე გაქსუებულმა მიხეილ სააკაშვილმა ვიდეო გაავრცელა, სა-



დაც წარმოგვიდგენს, თუ როგორ გააშენა ვენახი კიევში, როგორ იძახის: აქ რამ მოგიყვანა, შე დალოცვილო, შენაო და როგორ ცდილობს, დააბოლოს კახელი მევენახეები, ეხლა ყურძენს რომ ჩააბარებთ, სერთიფიკატები შეინახეთ, ნოემბერში მთავრობის თავმჯდომარედ რომ დავბრუნდები, კილოზე 80 თეთრს კიდევ წაგიმატებთო. არა, ეს ხომ არის და არის სასაცილო, ამის წამატებული არ გაიშვა სოფელ ქვემო მაჩხაანამდე, მაგრამ მთავარი ამ ვიდეოს ფინალია — ბატონი მიხა იწყებს კამპანიას: „დაავალე მიშას“!

სხვათა შორის, ამ თემაზე ზაალ უდუმაშვილმაც საგანგებოდ გვაუწყა, ახალ კამპანიას ვიწყებთ და აბა, თქვენ იცით, ყველაფერი შეგიძლიათ დაავალოთ მიშასო.

ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენოდა? დავსხედით კახელნი, იმერელნი, ქართლელნი, მეგრელნი, რაჭველნი, ზემო სვანნი, ქვემო სვანნი, აჭარელნი, გურულნი, მესხნი, ჯავახნი მრგვალ მაგიდასთან და გავმართეთ ბჭობა-თათბირი. სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, თათბირს არ ესწრებოდნენ აფხაზნი და ოვსნი.

კახელები შევედით წინადადებით, ამ უჯიშოსთვის შეგვეხსენებინა ის წლები, როცა 1 ჰექტარ ვენახის გაჩეხვაში 2 ათას ლარს იძლეოდა. სწორედ მიხოს მთავრობა იყო, რომელმაც გადაწყვიტა, ჭარბი ყურძენი არ გვინდა, ზედმეტი ბარგია, უნდა მოვსპოთო. მანამდე კი თავდაცვის მინისტრი ირაკლა ოქრუაშვილი მოგვიქსია ავტომატებით, ვინც მიტინგებს გამართავთ და გზების გადაკეტვას ეცდებით დედებს მოგიტ...ნავთო. ბოლოს დედამოტ...ნული ვინ დარჩა, კი დავინახეთ, მაგრამ რაც მაშინ სოფელ ვაქირის გადასახვევთან ხდებოდა, ნამდვილად იყო არასასიამოვნო.

მეგრელებმა თქვეს, მირე თე ხანგა, მუჭო რე გილეაჟვაბალ, თე ბორო. ვერაფერი გავიგეთ, შენიშვნა მივეცით, რომ ცოტა



პოპულარულად ელაპარაკათ. კაიო, ეგ კინტურმანტურის საკითხიაო. თან აგვიხსნეს, კინტურმანტური ტექნიკას ნიშნავსო, გინება არ გეგონოთო. მოკლედ, მეგრელებმა ერთმანეთში კიდევ დიდხანს ითათბირეს, ვერ გავაჩერეთ, ბოლოს თქვეს: ჩვენაო, ხელებიც დაგვიბანია, მთავრობის თავმჯდომარედ ჩვენი კაცი გვყავს, მაგ ოლეს რა უნდა დავავალოთო? ატარახტარახდირდირმაშინა გიულა რო გამოაგზავნა ზუგდიდში, ხო არ ჰგონია, რამეს მიიღებსო? ჩვენი ფეხებიო!

გურულებმა: ჩვენ, ძამა, გლობალური საკითხები გვაწუხებს, ვატყობთ, ბოლო დროს მშვიდობას საფრთხე შეექმნაო. დავფიქრდით, სიმართლეს ღაღადებდნენ. მოდით, მიშას დავავალოთ, რაც მსოფლიოში ატომური ბომბია, სუყველა მშვიდობიანად ააფეთქოსო, ოღონდ თვითონ მიწაზე არ იხოხიალოსო. თუმცაო, თითქმის დარწმუნებულნი ვართ, მაგ დავალებას არ შეასრულებს, მიშა მთელ ევროპაში განთქმული აფერისტია, არასოდეს აფერი გაუკეთებიაო. მოგვეწონა გურულების დავალება, პირველ ნომრად დავწერეთ ქაღალდზე. იქვე კახელებმა მივაწერეთ — „შაასრულებ — თეკლეს, არ შაასრულებ — ჩვენ ყ...ეს“!

რაჭველებმა: ამას წინებზე კუს ვასეირნებდით და გაგვექცა, მიშა მაგის პოვნაში თუ დაგვეხმარება, პირიქით, აქეთ დაგვავალებსო. ჩავწერეთ სიაში მეორე ნომრად. კახელებმა იგივე მივაწერეთ.

იმერლებმა: ჩვენ გვაინტერესებს მეტად სერიოზული საკითხიო. ყურები დავცქვიტეთ, სმენად ვიქეცით. აუცილებლად უნდა გავარკვიოთ, არსებობს თუ არა ქვანახშირი საიქიოშიო. მხრები ავიჩეჩეთ, მაგრამ მესამე ნომრად მაინც ჩავწერეთ იგივე კახური რეზოლუციით.

აჭარლებმა კატეგორიულად განაცხადეს, მურმან დუმბაძე უნდა დავასაჭურისოთ და მოსავლელად მიშას უნდა გავუგზავნოთო. ჩვენ ვურჩიეთ, თავი შეეკავებინათ არაადამიანური ქმედებებისგან. გაგვიძალიანდნენ, წამოხტნენ, თუ ჩვენს მოთხოვნას არ მიიღებთ, პროტესტის ნიშნად კრებას დავტოვებთო. მაგრად ვიმუშავეთ, ლიტრობით ოფლი ვღვარეთ და დავარწმუნეთ, რომ წინა ხელისუფლებას ვერ დავემსგავსებით, მურმან დუმბაძეს კი თავისი უბედურებაც ეყოფა, ილიაში ძირმაგარა გამოუვიდა.

## ძვირფასო მეგობრებო!

რაც აქნობამდე მოგახსენეთ, ალბათ მიხვდით, იყო ხუმრობანარევი სიმართლე იმის საილუსტრაციოდ, რომ ჩვენ ამ გომბეშოსთან არც სათხოვარი გვაქვს რამე და არც დასავალებელი.



აბა, დაუკვირდით, გამოდის ტელევიზორში დამნაშავე, სასამართლოს მიერ მისჯილი, სხვა ქვეყნის მოქალაქე და აცხადებს, როგორც საქართველოს მომავალ პრემიერ-მინისტრს, დამავალეთო. როგორ, რატომ, რისთვის, რანაირად უნდა დავავალოთ, რა ზნეობრივი და მორალური უფლება აქვს, თავი მომავალ მეთაურად წარმოიდგინოს?!

მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც საქართველო შავ დღეში ჩააგდო, არის სტაბილური ავადმყოფი. ნახეთ, როგორ მოიჩლიქა ენა ბოლო დროს, როგორი თაფლი გაურია თავის მიმართვებში და სწორედ ეს არის ყველაზე ამაზრზენი. მე პირადად ეს ყველაფერი მაგონებს გველის სისინს, დასაგესლად რომ ემზადება.

იყო დრო, მეგონა, უზნეობასაც ჰქონდა საზღვარი. თურმე ვცდებოდი, არ ჰქონია და იმასაც აშკარად ვხედავ, როგორ მიდის ადამიანების გახრწნის პროცესი. გინდათ მაგალითი? როგორც კი ამ თახსირმა გამოაცხადა, მევენახეებო, სერთიფიკატები შეინახეთ, როგორც კი ჩამოვალ კილოზე 80 თეთრს წაგიმატებთო, ეგრევე დამირეკა კახეთიდან რამდენიმემ — ბიჭო, ჩვენ ყურძენს ბაზრებში ვყიდით, არ ვაბარებთ, ქვითრები არ გვაქვს, ვერ გაგვიჩალიჩებო? რათ გინდათ-მეთქი? აი, მიშა რო ჩამოა, საბუთი ხომ უნდა ვაჩვენოთო? ხედავთ, რას კადრულობენ საზოგადოების ბნელი წევრები? ხედავთ, როგორ უცებ იჯერებენ სისულელეს? მე ვუთხარი, ჯერ ერთი, სააკაშვილი მაშინ დაბრუნდება პრემიერ-მინისტრად, ვირი ლეღვის ტოტზე რომ გავა და სპექტაკლ „მაკნატუნადან“ ილეთებს გააკეთებს-მეთქი, მეორეც — მეტი საქმე არა მაქვს, თქვენისთანა კრეტინებს რამე გავუჩალიჩო-მეთქი. მადლობა უფალს, ასეთები ძალიან ცოტანი არიან!

●

ასე რომ... კრებამ დაადგინა: „ჩვენ, სრულიად საქართველოს, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, არაფერი გვჭირს საიმისო, ვიღაც ბოგანოს რამე დავავალოთ ან ვთხოვოთ, გარდა ერთისა — „იდი ნა ხ.ი“, ბატონო მიხავ!

კრებას ესწრებოდა
**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

„ყილოშტყებამი“




გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ მეგრული თარგმანი „ყილოშტყებამი“

მთარგმნელი
აბელ ფეტელავა

**აკადემიკოს აპოლონ სილაგაძის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ: „ვეფხისტყაოსნის“ აბელ ფეტელავასეული თარგმანი ყველაზე სრულყოფილი, ყველაზე მაღალმხატვრულია არათუ მეგრულ, არამედ აქამდე არსებულ ნებისმიერ თარგმანთან შედარებით“.**

საგამომცემლო ჯგუფი.

წიგნის შეძენის მსურველებს, შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე: 599 58-72-50 (ბესო)

# „დიუპლესის ობლები“, ანუ ბავშვების წამებაზე დაფუძნებული საშინელი ბიზნესი

მსოფლიო საზოგადოებამ „დიუპლესის ობლების“ საშინელი ისტორიის შესახებ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ამ საზარელი მოვლენებიდან 50 წლის შემდეგ შეიტყო. დღეს ძნელია იმის დაჯერება, რომ მეოცე საუკუნის 30–40-იან წლებში პროგრესულ კანადაში შეიძლებოდა ეარსება ბავშვთა საკონცენტრაციო ბანაკებს, რომლებსაც სახელმწიფო მფარველობდა. ამ სიგიჟის ავტორი კვებეკის პროვინციის პრემიერ-მინისტრი მორის დიუპლესი გახლდათ.

პირველად კვებეკის პრემიერ-მინისტრად მორის დიუპლესი 1936 წელს აირჩიეს და 1944–1959 წლებში პოსტს ინარჩუნებდა. განათლებით იურისტი, ის მედგარი ნაციონალისტი, ფანატიკოსი კათოლიკე და კონსერვატორი გახლდათ. მისი მმართველობის პერიოდს „დიდი სიბნელის“ ეპოქას უწოდებენ.

პოლიტიკური კაპიტალი დიუპლესიმ უკვე კარგად აპრობირებული პოპულისტური მეთოდებით დააგროვა. ის მოითხოვდა კვებეკის ავტონომიას, იყო კომუნისტების დევნის მომხრე და თავის რასისტულ შეხედულებებს არ მალავდა. პრემიერ-მინისტრის პროგრამის განსაკუთრებული პუნქტი იყო ობოლ და არაკეთილსაიმედო ოჯახების ბავშვებზე ზრუნვა, რაც მის მომხრეებს განსაკუთრებით მოსწონდათ.

მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებზე ზრუნვა დიუპლესიმ კათოლიკურ ეკლესიას დააკისრა და მას თავშესაფრების, საავადმყოფოების და სკოლების მართვა გადასცა. ამ კეთილი საქმისთვის გამოყოფილ ბიუჯეტს ეკლესიის მოხელეები შეხედულებისამებრ განკარგავდნენ. პრემიერ-მინისტრის ინიციატივა, რომელსაც ხალხში „შეფს“ ეძახდნენ, სასულიერო პირებმა აღფრთოვანებით მიიღეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიის მზრუნველობის ქვეშ თავშესაფარში ხვდებოდნენ ობლები, ის ბავშვები, ვის დედ-მამასაც მშობლების უფლება ჰქონდა ჩამორთმეული. „უბედური ობლების“ კატეგორიაში ხვდებოდნენ ის ბავშვები, რომელთა მშობლებსაც დაბალი შემოსავალი ჰქონდათ, იმ წყვილების შვილები, რომლებიც ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ და მარტოხელა დედების შვილები.

თუ მშობლები სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფებოდნენ, მათი შვილები თავშესაფრების აღსაზრდელთა ყველაზე დაბალ კატეგორიაში ხვდებოდნენ, რადგან მათ „ცოდვის შვილებად“ მიიჩნევდნენ. მათ როგორც საზოგადოების უვარგის ნაწილს და დამნაშავეებს, ისე ექცეოდნენ. ეკლესიის მეურვეობის ქვეშ მოხვედრა ძალზე ადვილი იყო — ბავშვების ოჯახებიდან წაყვანა შეეძლოთ მღვდლის, მასწავლებლის ან ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე.

სისტემა აბსოლუტურად კორუმპირებული იყო და სახელმწიფოს მიერ ბავშვებისთვის გამოყოფილი თანხების დატაცება გრანდიოზულ მასშტაბებს აღწევდა. ერთ მშვენიერ დღეს მორის დიუპლესი მიხვდა, რომ ფინანსური წყარო იკლებდა და საშინელი ნაბიჯი გადადგა — კვებეკის ყველა თავშესაფარი ფსიქიატრიულ კლინიკად გადააკვალიფიცირა.



ამ გადაწყვეტილებიდან მიღებული სარგებელი ძალზე თვალსაჩინო იყო — თუ კანადის მთავრობა ობლებისთვის მხოლოდ 1 დოლარსა და 25 ცენტს გამოყოფდა, ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტისთვის უკვე 2 დოლარი და 75 ცენტის გადახდა იყო სავალდებულო. სულით ავადმყოფებად ბავშვების და მოზარდების შერაცხვა რთული სულაც არ იყო. თავშესაფრებში მომუშავე მოძღვრებს და მონაზვნებს „ზემოდან“ მისცეს განკარგულება და თითოეული აღსაზრდელისთვის ფსიქიატრიული დიაგნოზი შეთხზეს.

ყველაფერს ოფიციალური სახე რომ ჰქონოდა, თითოეულ ბავშვზე სამედიცინო ბარათები შეადგინეს, რომლებსაც სასულიერო პირები გამოგონილი ჩანაწერებით ავსებდნენ. ანაწილებდნენ, ყველაზე მეტად უფროსი ასაკის მოზარდებს არ გაუმართლათ, ისინი, უბრალოდ, ნამდვილ კლინიკებში გაგზავნეს.

მაგრამ ის ბავშვები, რომლებიც თავშესაფრებში დარჩნენ, ფსიქიატრიულ კლინიკებში გაგზავნილებზე ნაკლებად როდი იტანჯებოდნენ. ისინი, ვინც ამ ჯოჯოხეთს გადაურჩა, მოგვიანებით ყვებოდნენ, რომ მათ დაუნდობლად ცემდნენ, აშიმშილებდნენ, არ აძლევდნენ წყალს, ძალადობდნენ მათზე. ბავშვებს საწოლებზე აბამდნენ, კარცერში კეტავდნენ დიდი ხნით და დამხმარე მეურნეობებში მძიმე სამუშაოს შესრულებას აძალებდნენ.



იმ დაწესებულებებში, სადაც „დიუპლესის ობლები“ ჰყავდათ, ატარებდნენ ბარბაროსულ სამედიცინო პროცედურებს და გაუმართლებელ ქირურგიულ ოპერაციებს. ბავშვებს ლობოტომიას უტარებდნენ, რის შემდეგაც ისინი ზომბებად იქცეოდნენ ან სულაც კვდებოდნენ. ბავშვები არა მხოლოდ საშინელი პირობებისა და წამებისგან კვდებოდნენ, არამედ ხშირად იკლავდნენ თავს, რადგან ვერ უძლებდნენ „აღმზრდელობით ზომებს“.

მკვდარ ბავშვს შემოსავალი უკვე აღარ მოჰქონდა, მაგრამ გვამის მიყიდვა შეიძლებოდა ანატომიური თეატრებისთვის ან კვლევითი ინსტიტუტებისთვის, რაშიც ისინი 10 დოლარს იხდიდნენ. ბავშვები სიცოცხლეშივე იყვნენ საცდელი მასალა — მათზე ცდიდნენ ახალ სამედიცინო პრეპარატებს და სამედიცინო პროცედურებს, რომლებიც ხშირად როდი იყო წარმატებული.

მოგვიანებით დაიწყეს „დიუპლესის ობლების“ გაშვილება როგორც კანადურ, ასევე ამერიკულ ოჯახებში. ეს ძალიან ძვირი ღირდა — 25–40 ათასი დოლარი თითოეული ბავშვი. არც კი ღირს იმაზე ლაპარაკი, რომ მშვილებლებს არავინ ამოწმებდა და ხშირად ბავშვები გარყვნილ და მწვალებელ ფსიქოპატებთან ხვდებოდნენ.

ასეთი „სააღმზრდელო ბანაკის“ ერთ-ერთი აღსაზრდელი კლარინა დაგვეი დაწვრილებით მოყვა თავისი ცხოვრების შესახებ მას შემდეგ, რაც მასზე „ზრუნვა“ სახელმწიფომ და ეკლესიამ აიღო თავის თავზე. ის ოჯახიდან წაიყვანეს და წმინდა ჟულიენის კლინიკაში განამწესეს, მშობლიური ოჯახიდან 1000 კმ მოშორებით.

მიუხედავად იმისა, რომ კვებეკის „თავშესაფრებისა“ და „სამკურნალო დაწესებულებების“ ისტორია გასაჯაროვდა, ბევრი რამ კვლავ უცნობია. ამ ჯოჯოხეთის ყველა მონაწილე დაინტერესებული იყო იმაში, რომ სიმართლე არავის გაეგო და დანაშაულს უკვალოდ შლიდნენ. დღეისთვის ჯერ კიდევ არ არის ცნობილი იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც დიუპლესის „აღმზრდელობითი პროგრამის“ შედეგად დაზარალდნენ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მათი რიცხვი შესაძლოა 300 ათასი იყოს.

რაც შეეხება საკითხის ფონანსურ მხარეს, 1999 წელს ორმა ანალიტიკოსმა ლეო-პოლ ლაზონმა და მარტინ პორიემ გამოაქვეყნეს გამოძიების მასალები, რომელშიც ფიგურირებს თანხა 70 მლნ დოლარი. სწორედ ეს თანხა მიიღეს 40–50-იან წლებში კანადის მთავრობისგან კვებეკის პროვინციის ხელმძღვანელებმა დიუპლესის მეთაურობით და კათოლიკურმა ეკლეზიამ.

„აღზრდის“ შედეგები „დიუპლესის ობლებს“ მთელი ცხოვრება მიჰყვებოდათ, მათ არათუ განათლება არ მიუღიათ, უნარებიც არ შეუსწავლიათ, ხოლო სამედიცინო ბარათებში აღნიშნული ფსიქიატრიული დიაგნოზი კარგი სამსახურის ან სწავლის საშუალებას არ აძლევდა მათ.

ერთმანეთისთვის დახმარების მიზნით, ყოფილმა აღსაზრდელებმა დიდი ძალისხმევა მოახმარეს იმას, რომ უზრუნველეყოთ საკუთარი მომავალი, ეპოვათ ახლობლები და ადაპტირებულიყვნენ ჩვეულებრივ ცხოვრებაში. მათ გადაწყვიტეს ყველაფერი ეამბათ კვებეკის მთავრობის და კათოლიკური ეკლესიის დანაშაულობების შესახებ, რაც ვადის გასვლას არ ქვემდებარება.

ამასთან, დანაშაულის კვალი კვებეკში კიდევ არსებობს. 1999 წელს ღორების ფერმაში, რომლის მახლობლადაც ოდესღაც განთავსებული იყო ფსიქიატრიული კლინიკა, ნაპოვნია დაახლოებით 2000 ბავშვის ნეშტი, რომლებიც „აღმზრდელობითი პროგრამის“ შედეგად გარდაიცვალნენ.

2004 წელს „დიუპლესის ობოლთა“ ორგანიზაციამ მიმართა კვებეკის მთავრობას მოთხოვნით, გაეთხარათ მონრეალის მახლობლად მიტოვებული სასაფლაო. მათი აზრით, შესაძლოა, იქაც დაღუპული ბავშვების მასშტაბური სასაფლაო არსებობდეს.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

## ვულოცავთ!



იმერეთის ქუჩის მაცხოვრებლები ვულოცავთ ჩვენს კეთილ ანგელოზს, ჩვენი ოჯახების იმედს და ნუგეშს, საყვარელ მეზობელს და მეგობარს, ექიმ-პედიატრს და თერაპევტს, რომელიც ყოველთვის მზად არის დიდსა და პატარას გვერდით დაუდგეს მუდამ, დღისითაც და ღამითაც, მზად არის, ტელეფონით თუ პირადად, მოუსმინოს, დაეხმაროს, რჩევა მისცეს ყველას, ვინც მის რჩევას და დახმარებას ელოდება და ამას აკეთებს მთელი პასუხისმგებლობით და დაუზარელად.

საუკეთესო შვილების საუკეთესო დედას, მეუღლეს და ბებიას, მარინა ლოლაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს.

დღეგრძელობა, ჯანმრთელობა და სიხარული იყოს თქვენი ცხოვრების მეგზური.

ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანა ადამიანები.

უბნელები

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
9 772233 398001